ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903–1905 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№50 (1488) 14–17 ოქტომბერი, 1996 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქვეყნდება პირველად

## საქართველოს მწერალთა კავშირის საერთო კრების სტენოგრაფიული ანგარიში

მუხრან მაჭავარიანი:
ერთი სკამია
და ამაზე რამდენი
უნდა დაჯდეს?

მეორე გვერდი



1991 წლის 2 სექტემბერი

ნოდარ წულეისკირი:
ეს მიტინგი
არ იყო
ჩასატარებელი

მესამე გვერდი

## „თქვე ოხრებო, გვენაცვალე საქართველოვა?!“

მეოთხე გვერდი

## განაჩენი

მესამე გვერდი

1972 წლიდან ნებაყოფლობით ვთანამშრომლობდი საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტთან და, როგორც ინფორმატორს, „ვერინის“ ფსევდონიმი მქონდა...

მეხუთე გვერდი

## ივანე ჯავახიშვილის წინაპრები თურმე სომხები ყოფილან(?!)



მეექვსე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპოქის სარკე

# ქართველი მწერლები და 1991 წლის 2 სექტემბრის აქცია

## ქვეყნდება პირველად

## მუხრან მაჭავარიანი: ერთი სკამია და ამაზე რამდენი უნდა დაჯდეს?

### სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა კავშირის საერთო კრებისა 1991 წლის 12 სექტემბერი

თავმჯდომარეობს – მუხრან მაჭავარიანი



მუხრან მაჭავარიანი – ძვირფასო მეგობრებო! მადლობას მოგახსენებთ, ვინც მობრძანდით.

ჩვენ გუშინ შევატყობინეთ თბილისში მცხოვრებ ყველა მწერალს, პრეზიდიუმის წევრებსაც და პრეზიდიუმის არაწევრებსაც. არ გამკვირვებია, ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, რომ დღეს არ ესწრება დიდი ნაწილი მწერლობისა ამ კრებას. ეს ჩემთვის ახალი არ არის. თითქმის მესამე წელია, რაც ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს მწერალთა კავშირს. თქვენ იცით, რა დროს მოგვიწია მუშაობა, რა ცეცხლი ენთო და მწერლობის დიდი ნაწილი არ მოდიოდა.

ასე რომ, დღეს საქართველოს როცა განსაკუთრებულად უჭირს, დღესაც რომ არ ჩანან ე.წ. „მოწინავე" მწერლები, ეს მე არ მიკვირს.

პოლიტიკური მოღვაწე არასოდეს არ ვყოფილვარ, არცა ვარ და არც ვიქნები. ერთი ალალი კაცი ვარ, ვიყავი, არასოდეს ჩემი პოზიცია არ დამითმია. ეს ჩემმა მტრებმაც კარგად იციან. არასოდეს არ დავთმობ ჩემს პოზიციას.

დღევანდელი დღე ჩვენ გვაყენებს დიდი პრობლემების წინაშე და დღეს თავის არიდება ამ მძიმე საკითხებისადმი, ეს არის ღალატი. დღეს არავის არა აქვს დუმილის უფლება. დღეს მტრებიც კი ალაპარაკდნენ და ისინიც კი ლაპარაკობენ. არის ძალიან მძიმე მდგომარეობა.

მე თავმჯდომარე ვარ და ვალდებული ვარ გითხრათ. მე ერთ რამეს გთხოვთ, ვთხოვ ყველას – ნუ მივაყენებთ ერთმანეთს შეურაცხყოფას, როგორმე მოვთოკოთ ჩვენი სიმპათიები და ანტიპათიები.

ჩემი პოზიცია მთელმა საქართველომ იცის ჩემს სამშობლოსთან დაკავშირებით, უზენაეს საბჭოსთან დაკავშირებით, პრეზიდენტთან დაკავშირებით. ეს ყველამ იცის და მე ვდგავარ ისევ ამ პოზიციაზე. მე შემეძლო, თქვენ გამოსულიყავით და თქვენი გამოსვლის შემდეგ მეთქვა ჩემი პოზიციის შესახებ, მაგრამ მე ვამჯობინე – მე უნდა ვთქვა ჩემი პოზიცია იმიტომ, რომ შეიძლება თქვენ ჩემთან სადავო გქონდეთ. სალაპარაკო ბევრია. თქვენ იცით, რომ მე ვარ საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი, დეპუტატი ვარ; თქვენ იცით, რომ მე შევედი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოში", რომელმაც გაიმარჯვა; მე დავასახელე საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, მე ვიყავი ძალიან მხურვალე მომხრე, ეს გამოვხატე პრესითაც, რომ ზვიად გამსახურდია ყოფილიყო პრეზიდენტი.

მე ძალიან ბევრი რამ ვიცი, რაც შეიძლება სხვამ, ფართო საზოგადოებამ არ იცის, – რა ხდება კულისებში, რა შეცდომებია, როგორი ხარვეზებია. ეს მე კარგად ვიცი. ამაზე არ მომიწევს ლაპარაკი. გადავდივარ მთავარ საკითხზე. მაგრამ ვიდრე მთავარ საკითხზე გადავიდოდე, გულღიად უნდა გითხრათ – მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მტერს, მოღალატეს რომ ვუძახით, იმასაც საქართველო ნამდვილად უყვარს. ამაში მე დარწმუნებული ვარ, მაგრამ სიყვარულიც არის და სიყვარულიც. არის სიყვარული, როცა შენის საყვარელი საგანი ზოლიშს ვიხდი, რომ საქართველოს სიყვარულის საგანს ვადარებ) შენს თავს გირჩევნია, მაგრამ არის სიყვარული, როცა ჯერ შენი თავი გიყვარს და შემდეგ საქართველო.

მე რომ მკითხოთ, საქართველოს ტოლფასი არ არის და ამავე დროს თვით საქართველოში საქართველოს ტოლფასი კაცი არ დაბადებულა. თვით შოთა რუსთაველი საქართველოს ტოლფასი არ არის, დავით აღმაშენებელი... საქართველოში მთავარი ის არის, რომ ორი ბავშვის, ორი ქართველის სისხლი არ უნდა დაიღვაროს... აი, ეს არის მთავარი. მსოფლიო ლაპარაკობს ამაზე. მე წასული ვიყავი შვებულებაში, მაგრამ რა მომასვენებდა, ვინ მომასვენებდა. დღეს არ მეგულება ქართველი, რომელიც არ უნდა განერვიულებულიყო.

ჩვენ აქ შევიკრიბეთ არა იმიტომ, რომ ვინმემ გუნდრუკი ვუკმიოთ. არა, ჩვენ უნდა გამოვიტანოთ ჩვენი დასკვნა. პირად საუბარში ბევრი უკმაყოფილება გამოითქმება, მაგრამ ეხლა ამის დრო აღარ არის.

განა ვერა ვგრძნობ, რატომ არ მოვიდნენ ჩვენი მეგობარი მწერლები და კოლეგები. ეს არის სამარცხვინო თვისება. ისინი არიდებენ თავს, რა იცი, რა მოხდება. ასე ცხოვრება არ გამოვა. ქართველ კაცს ასე არ უცხოვრია, ქართველ კაცად დავიბადეთ და უნდა მივყვებოდეთ კიდეც. როცა კაცი აირჩევ გზას, ამაზე უნდა იფიქრო და არ უნდა უღალატო. ჩვენი ბევრი კოლეგა იმიტომ არ არის, რომ არ უნდა გამოთქვას თავისი პოზიცია – „ვაითუ რა მოხდება". ყველაფერი ისე მოხდება, როგორც ღმერთს უნდა, მაგრამ ვაი მისი ბრალი, როცა საქართველოს უჭირს და კაცი იმალება ბუჩქებში.

2 სექტემბერს მოხდა დიდი უბედურება. მე არ ვიცი, იქ არ ვიყავი. ათას რამეს ლაპარაკობენ. ჩემი აზრი ასეთია: ორი სექტემბრის მიტინგი არ უნდა ჩატარებულიყო, 2 სექტემბერს არავითარ შემთხვევაში მიტინგი არ უნდა ჩატარებულიყო!.. ამ მიტინგს უსათუოდ პროვოკაციული ხასიათი ჰქონდა.

მე ეჭვი არ მეპარება არც ირაკლი წერეთლის ქართველობაში, არც გიორგი ჭანტურიას, არც ჩხეიძის. ჭანტურიაზე და წერეთელზე ვარ გაოცებული. როგორ შეიძლება?! რა გინდ პირადი ინტერესიც არ უნდა ჰქონდეთ, განა ვერ ხვდებიან, რომ ეს დაღუპავდა. როცა კონგრესმენები იმყოფებიან საქართველოში, როცა წყდება საქართველოს ბედი, რა ხდება?.. როგორ შეიძლება?!

მე მიმაჩნია, რომ ამ მიტინგის ჩატარება დიდი შეცდომა იყო და თითქმის ღალატი და მე გაოცებული ვარ, ეს ნიჭიერი ხალხი, რომლებიც ორგანიზატორები არიან ამ მიტინგისა, როგორ ვერ ხვდებიან. ეს გარეშე ძალის შემოქმედების შედეგია.

სხვათაშორის, დიდი ლანძღვა რომ დაგიწყო კაცისა, რომელთანაც პური გამიტეხია, არ შემიძლია. რა თქმა უნდა, ეს გარეშე ძალაა, მაგრამ რატომ უნდა გამოიყენონ. იმ მიტინგის ორგანიზატორები არიან ბრმა იარაღი საქართველოს მტრის ხელში კი არა, საქართველოში ვისაც ყოფნა უნდა და საქართველოს ხელში ჩაგდება უნდა.

მაგრამ მეორე უბედურება და ის უბედურება მარტო ის მტრობა კი არ არის, რომელიც აქ მოხდა, არამედ ის, რომ აქ იყო სროლა, რომ დაჭრეს ხალხი. რა უნდოდა იქ მილიციას? რა უნდოდა იქ ომონს? ჩემთვის რომ ეკითხათ, არავითარ შემთხვევაში არ გავუშვებდი. მე არ ვიცი, პირველად ვინ ისროლა. ერთი მხარე ამბობს, რომ ომონმა დაიწყო, ხელისუფლება ამბობს – არა, მომიტინგეებმა დაიწყეს. მესამე აზრია, რომ პროვოკატორები ჩვენში არიან და იმიტომ იყო, რომ გაიგზავნა მილიცია. ეს აყალმაყალი მოხდა. ეს დიდი სირცხვილია. 9 აპრილი რომ 9 აპრილია, იქ არ იყო სროლა.

მე ასე ვსვამ საკითხს: 9 აპრილს კომისია რომ შეიქმნა (მეც ვიყავი იმ კომისიაში), იმას არაფერი გამოურკვევია. თუ ასეთივე კომისია უნდა შეიქმნას (და კომისია აუცილებლად უნდა შეიქმნას), ხელისუფლების გარდა, უნდა იყოს წარმოდგენილი მოწინააღმდეგეებისა და ნეიტრალური საზოგადოების წარმომადგენლები და დამნაშავე უნდა დაისაჯოს მთელი სიმკაცრით. (ხმა დარბაზიდან – ვინ უნდა დასაჯოს?) – ხელისუფლებამ. (ხმა დარბაზიდან – სად არის ხელისუფლება?..)

ასეთია ჩემი აზრი: აუცილებლად სასწრაფოდ უნდა შეიქმნას კომისია და ამ კომისიამ განიხილოს და ვინც დასასჯელია, დაისაჯოს. აი, ასე მგონია მე.

მე მიმაჩნია, რომ რაც არ უნდა გიჟი ვუძახოთ ჩვენ ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს, არავინ არაა ხელისუფლების წარმომადგენელთაგან ისეთი გიჟი (და მე არ მინდა დავიჯერო), რომ მას გაეცა განკარგულება, დაარბიეთო. ამას თავის წინააღმდეგ არ გააკეთებს არავინ (ხმა დარბაზიდან – ნუ იცავთ). აქ არავინ არავის არ იცავს. ჩემი დასაცავი არავის არ სჭირს. ერთი კაცი არ არის საქართველოში. ჩვენ ერთ, ორ და სამ კაცს ვერ ვანაცვალებთ საქართველოს (დარბაზში ხმაური..). თქვენ რატომ გგონიათ, რომ ობიექტურად არ ვლაპარაკობ. მე რასაც ვლაპარაკობ, იმაზე ვარ პასუხისმგებელი. გამობრძანდით, აგერ იწერება. ბევრი რამე ჩაიწერება მწერალთა კავშირში დღეს. და სამარცხვინოა, წინ მიდევს მე დღეს ოქმები, ზგამსახურდიას გარიცხვის ოქმი, ტტაბიძის. ჩვენ მარტო დღეს არა ვკოცხლობთ. შეიძლება ადამიანის სიკვდილის შემდეგაც იყოს ის უკვდავი თავისი ოჯახისთვის, თავისი შვილებისათვის. რამდენი შვილი მოსულა ჩვენთან იმის სათქმელად, რომ მამაჩემი არ ყოფილა გამყიდველიო. პირიქით, სიკვდილის შემდეგ იწყება ცხოვრება.

მე მიმაჩნია, რომ კომისია აუცილებელია, მაგრამ ამავე დროს აუცილებლად კომპრომისზე უნდა წავიდეს ორივე მხარე. კომპრომისი აუცილებელია. თუ ჩვენ სამშობლო გვიყვარს, საქართველოსთვის კარგი გვინდა, ყველამ მივხედოთ საკუთარ თავს, მოვთოკოთ საკუთარი ამბიციები, ორივე მხარემ უნდა დათმოს.

აუცილებლად პრეზიდენტთან უნდა იყოს მრჩეველთა საბჭო, რომელშიაც შევა ოპოზიციონერიც, ინტელიგენტიც და ხალხი, რომელსაც აქვს ვაჟკაცობა და შეუძლია პირდაპირ ელაპარაკოს... (ხმა – ვინ დაუშალა?)..

მე რომ ვიცი შეცდომები, ისე თქვენ არ იცით და ეს შეცდომები რომ არ ყოფილიყო, არც ეს მოხდებოდა (ხმა – მართალი ხართ)...

დღეს როგორ შეიძლება საკითხი დასვა, რომ პრეზიდენტი გადადგეს? – განა იმიტომ, რომ ის უბადლო კაცია, არამედ იმიტომ, რომ ამ მომენტში ის საჭიროა. მას ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ საჭიროა. მოვიპოვოთ თავისუფლება, დავჯდეთ მერე. რუსი რომ არ გაგვირჩევს საქმეს, მაშინ დავჯდეთ და ვილაპარაკოთ, ვთქვათ. ბევრია სიმართლე, შეიძლება უკიდურესი – პარლამენტის დათხოვნაც, ოღონდ პრეზიდენტის დათხოვნა არ შეიძლება. განა იმიტომ, რომ პრეზიდენტი ჩემი მეგობარია: არა, მე სამშობლოს გულისთვის ვლაპარაკობ და მე მიმაჩნია, რომ საქართველოს უეჭველად უნდა ჰყავდეს პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია.

დანარჩენს, როცა მოვიპოვებთ თავისუფლებას, რომელსაც ჩვენ თვითონ ვუშლით ხელს, შემდეგ მოვუვლით. ერთი სკამია და ამაზე რამდენი უნდა დაჯდეს? ოჯახში განა ყველა კარგია, მაგრამ შენი ოჯახის შენ იცი და შენი ოჯახის საქმე გარეთ არ უნდა გაიტანო.

87%-მა აირჩია ეს კაცი, საქართველოს მოსახლეობის 87%-მა, მარტო ქართველების კი არა, საქართველოს მოსახლეობისა და 5 ათასი, თუნდაც 10 ათასის გულისათვის უნდა გადადგეს?.. როგორ გეკადრებათ!.. ოჯახი არ არსებობს, რომ ყველა კმაყოფილი ჰყავდეს. ყველა რომ კმაყოფილი ჰყავდეს, ასეთი კაცი არც ვარგა. მაგალითად, ზოგიერთი კაცის განთავისუფლება კი არ იყო შეცდომა, დანიშვნა იყო შეცდომა. მე დარწმუნებული ვარ – ჩვენ ეს უნდა შევძლოთ. ჩვენ მარტო არა ვართ.

როგორ შეიძლება ეს ქუჩების ჩახერგვა. ჩვენ ვიდექით იმ მიტინგზე. ის მიტინგი მთავრობის დანიშნული იყო. ეს მთავრობა ხომ ჩვენი ამორჩეულია და ამიტომ მეტი გვაქვს მასთან პრეტენზია, მაგრამ ამას თავისი დრო აქვს. ახლა არ არის ზვიადის წინააღმდეგ ბრძოლის დრო. ოსი და აფხაზი მოტყდა პუტჩის შემდეგ, მაგრამ ახლა იქ ქართველები წაიკიდნენ და ისარგებლეს ამით. ირაკლის მე როგორ ვაკადრებ ამას, მაგრამ თვითონ არ იცის სად არიან, სად არის ის მეგობრობა. შენ რომ ამას აკეთებ, მტრის სასარგებლო საქმეა. მე რომ რამე შემეძლოს, დედას ვუტირებდი ერთსაც და მეორესაც და მესამესაც. უფრო უარესი მოგვივა.

ჩვენ ყველანაირად ვეცადოთ. ჩვენი მეგობრები, ჩვენი ნათესავები არიან, საქართველოში თითქმის ყველა ერთმანეთის ნათესავები ვართ. ვეცადოთ. თუ მოხდა ეს და გადაიზარდა სამოქალაქო ომში, მერე დავიღუპებით. როგორმე უნდა მოხერხდეს ამის მოგვარება. მწერლობას თავისი წონა აქვს, საქართველოში ლექსის და წიგნის ფასზე მეტი არაფერი არ ყოფილა. ლექსი ინახება.

ასე რომ, ქართულ მწერლობას ეკუთვნის ძალიან დიდი სიტყვა. რასაც ქართული მწერლობა იტყვის, ის არის მთავარი სიტყვა: ნურავის ნუ ეწყინება.

გაგრძელება მე-3 გვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნოდარ წულეისკირი: ეს მიტინგი არ იყო ჩასატარებელი



მეორე გვერდიდან

სიტყვა აქვს ნოდარ წულეისკირს.

ნოდარ წულეისკირი – მე უნდა გითხრათ, ბატონ მუხრანს ისე ჩამოუყალიბებია თავისი სიტყვა, ისეთი მშვენიერი პოლიტიკური ანალიზი გააკეთა, რომ მე ფაქტიურად უნდა გავიმეორო მისი ეს ანალიზი. ეტყობა, ფიქრობდა დღეების განმავლობაში და ეს ნაფიქრი თქვენს წინაშე გამოიტანა. ეს პოლიტიკური ანალიზი ჩემთვის არის მისაღები.

აი, ახლა გადავდივარ ჩემს დამოკიდებულებაზე ამ მოვლენებისადმი. თქვენ ყველამ კარგად იცით ჩემი დამოკიდებულება. მე სხვა აზრი არა მაქვს, მაგრამ ისეთი ადამიანი არა ვარ, რომ დავუძახო – აი, წარსულში მქონდა ასეთი პოზიცია და ეხლაც ამაზე უნდა ვიდგე, არა, მე ასეთი ადამიანი არა ვარ. თუ მცდარი იყო ჩემი პოზიცია გუშინ, დღეს სხვა პოზიციაზე დავდგები.

დღეს მე იმ პოზიციაზე უნდა დავდგე, რაც მე მიკავია 70 წლიდან (ხმა დარბაზიდან – საქმეზე ილაპარაკე)... ეს არის ჩვენი საქმე, რომ ჩვენი პოზიცია გავარკვიოთ – ვართ თუ არა ხელისუფლების მხარეზე. მე პირადად ვარ ხელისუფლების მხარეზე. აი, იმ კონკრეტული ფაქტის გამო, მე ვარ იმ აზრზე, რასაც ბატონი მუხრანი ბრძანებს, რომ პრეზიდენტი არის პირდაპირი კენჭისყრით არჩეული. (ხმა დარბაზიდან – მაგას ყოველდღე ამბობენ...).

(ზ. კალანდია – ბატონო ნოდარ, თქვენი აზრი იმ 2 სექტემბრის მოვლენაზე...) დამაცადეთ, იმ 2 სექტემბრის ფაქტზე მოგახსენებთ, მაგრამ იმაზეც მინდა გითხრათ, რომ ის, რაც დღეს ქუჩაში ხდება, ეს არის ანტიკონსტიტუციური და ის ხელისუფლება, რომელიც ჩვენ გვყავს, არის კონსტიტუციური. ახლა ჩვენ რომ შევიკრიბოთ და მოვითხოვოთ გამსახურდიას გადაყენება, ეს არის ხუნტა და პუტჩი. თუ ჩვენ ახლა გვინდა გადავაყენოთ პრეზიდენტი, ის უნდა გადავაყენოთ კონსტიტუციურად. დემოკრატიული აზრი უნდა ჰქონდეს ადამიანს და არა – ქუჩაში წამოყენებული არადემოკრატიული მოთხოვნები. ეს ანტიკონსტიტუციურია. თუ გვინდა გამსახურდიას გადაყენება, კეთილი ინებოს ჩვენმა ოპოზიციამ, მოითმინოს. გაივლის დრო და შემდეგ დაინიშნება არჩევნები.

ახლა კონკრეტულად, რა აზრი უნდა მქონდეს იმ 2 სექტემბრის მიტინგზე.

ეს მიტინგი არ იყო ჩასატარებელი. პირველი დანაშაული ეს არის იმიტომ, რომ გვიგვიანდება თავისუფლება. ორმა ქვეყანამ გვალიარა, ლიტვა-ლატვიის შემდეგ ჩვენ ვიყავით და ეს ჩაგვეშალა.

რასაკვირველია, ყოველგვარი გასროლა, ყოველგვარი სისხლის დაღვრა, როცა უიარაღო ხალხია, და იქ შეიძლება ტყვია მოხვდეს არა ოპოზიციას (ხმა დარბაზიდან – ოპოზიციას რომ მოხვდეს, ეს შეიძლება?..) (დარბაზი ახმაურდა).. არ შეიძლება ამის დაშვება (საერთო ხმაური).

(თავმჯდომარე – სიტყვას მივცემ ყველას, ვაცალოთ).

მიუხედავად ყოველივე ამისა, ყოველივე ასეთი დაძაბული მდგომარეობისა, ასეთი გამძაფრებული მდგომარეობისა, აუცილებლად უნდა მოხდეს დათმობა, უნდა დათმოს ერთმა მხარემაც და მეორე მხარემაც.

რასაკვირველია, ოპოზიციის მოთხოვნების გათვალისწინება შეიძლება. ეს უნდა იქნას გათვალისწინებული. დათმობა ორივე მხარედან უნდა იყოს.

აი, ეს არის ჩემი მოსაზრება.

გ.ფანჯიკიძე – მე ჩავწერე გამოსვლებში იმისდა მიხედვით, თუ ვინ როდის მოითხოვა.

ამირან კალაძეს ეძლევა სიტყვა.

სასამართლო

# განაჩენი

## საქართველოს სახელით

### პრესაში ქვეყნდება პირველად, მნიშვნელოვანი შემოკლებით

თენგიზ კალისტრატეს-ძე კიტოვანის, დაბ. 1938 წელს ქთბილისში, ქართველის, საქართველოს მოქალაქის, უმაღლესი განათლების მქონის, ცოლშვილიანის, ადრე ნასამართლევის, 1969 წელს გასამართლებულ იქნა საქრესპუბლიკის სსკ 241 მუხლის მეოთხე ნაწილით და 213 მუხლით. მიესაჯა 15 წლით თ/აღკვეთა, რაც საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის მიერ შეუმცირდა 3 წლით და საბოლოოდ მოსახდელი დარჩა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. 1973 წელს სასჯელის მოხდის დროს გასამართლებული იქნა ჩელიაბინსკის ოლქის სატკინსკის სახალხო სასამართლოს მიერ. მიესაჯა 1 წლით გამასწორებელი სამუშაოები. დაპატიმრებამდე საქ. რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, მცხოვრები ქთბილისში კეკელიძის ქ. №1, ბრალი ედება საქ რესპუბლიკის სსკ 238 მუხლით, 238 მუხლის პირველი, მეორე და მეოთხე ნაწილებით და 135 მუხლით.

ირაკლი კონსტანტინეს ძე სურგულაძის, დაბადებულის 1936 წელს ქთბილისში, ქართველის, საქართველოს მოქალაქის, უმაღლესი განათლების მქონის, ნასამართლეობის არ მქონის, მეცნიერებათა აკადემიის ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერთანამშრომლის, ცოლშვილიანის, მცხოვრების ქთბილისში, თამარაშვილის ქ. №11; ბრალი ედება, საქ რესპუბლიკის სსკ 239 მუხლით.

ვალერი ვლადიმერის ძე ფისუნის, დაბადებულის 1952 წელს კუიბიშევის ოლქის ქჩაპაევსკში, ეროვნებით რუსის, უმაღლესი განათლების, ცოლშვილიანის, ნასამართლეობის მქონის – გასამართლებული იქნა ორჯერ, 1987 წლებში უკრაინის სსკ 121 მუხლით (გარყვნილი ქმედება არასრულწლოვანვაჟებთან) მიესაჯა 2-2 წლით თავისუფლების აღკვეთა. დანაშაულის ჩადენის დროს იძებნება ანაპის პროკურატურის მიერ იგივე დანაშაულისათვის. ბრალი ედება საქ. სსკ 238' მუხლით.

განსასჯელმა თენგიზ კიტოვანმა მის მიმართ წარდგენილ ბრალდებაში თავი არ ცნო დამნაშავედ და განმარტა, რომ ის მუშაობდა სამხედრო საბჭოს წევრად, თავდაცვის მინისტრად, ეროვნული გვარდიის სარდლად, მის საპატიო თავმჯდომარედ, ის, როგორც დეპუტატი, სარგებლობდა იმუნიტეტით. 1995 წლის 10 იანვარს ის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის ხელმძღვანელებთან ერთად იმყოფებოდა პოლიტიკურ პარტიებთან შეხვედრაზე, სადაც მან დასვა საკითხი, რათა თითოეულ პარტიას გამოეყო მეთვალყურენი აფხაზეთში შესვლასთან დაკავშირებით ხალხის თავშეყრის ადგილას. დაეფიქსირებინათ მათი შეკრებისა და დასავლეთ საქართველოს მიმართულებით გამგზავრების კანონიერება, ამ დღეს გამგზავრების თარიღი არ ყოფილა დათქმული. 1995 წლის 11 იანვარს თამაზ ნადარეიშვილს განუცხადა, რომ ისინი აპირებდნენ დასავლეთ საქართველოს მიმართულებით წასვლას, ამის შესახებ მან ასევე უთხრა აფხაზეთის თითქმის ყველა დეპუტატს. საქმის კურსში იყვნენ თენგიზ სიგუა, ბორის კაკუბავა, ირაკლი სურგულაძე და მათი პარტიის ყველა ხელმძღვანელი პირი. 13 იანვარს დილით უნდა შეკრებილიყვნენ პასტერის ქუჩაზე ეგფ-ის შენობის წინ, ეზოში, სადაც რეგიონებიდან ჩამოვიდნენ პარტიის წევრები და მათი მომხრეები. 13-ში, დილით, პასტერის ქუჩაზე დიდი რაოდენობით ხალხმა მოიყარა თავი. მასთან მივიდნენ და ელაპარაკნენ უშიშროების უფროსის მოადგილე ავთანდილ იოსელიანი, შ.ს.მინისტრის პირველი მოადგილე ჯიმი მიქელაძე, ქალაქის შ.ს. სამმართველოს უფროსი დემურ მიქაძე. ისინი ურჩევდნენ მას, რომ ხელი აეღო ხალხის დასავლეთ საქართველოში წაყვანაზე სახელმწიფოს მეთაურთან შეთანხმების გარეშე. მან დაურეკა ედუარდ შევარდნაძეს, ელაპარაკა მის მდივანს, რომელმაც უთხრა, რომ სახელმწიფოს მეთაური თვითონ დაურეკავდა. მიუხედავად იმისა, რომ საპასუხო ტელეფონის ზარი არ ყოფილა, მისი მითითებით ავტობუსების კოლონა ხალხთან ერთად დაიძრა დასავლეთ საქართველოსაკენ. მათი მიზანი იყო, რომ ხალხი დაებანაკებინათ ფოთსა და სენაკში, წინასწარ მომზადებული დისლოკაციის ადგილებში. შესაბამისი რეგიონალური განყოფილების უფროსებისაგან მან იცოდა, რომ მათ დასაბანაკებლად გამოყოფილი იყო ადგილები, სპორტდარბაზები, სკოლები. იმ ადამიანთა შორის, ვინც გაჰყვა მათ, ბევრი ოსეთისა და აფხაზეთის ბრძოლების მონაწილე იყო, ბევრიც აფხაზეთიდან ლტოლვილი, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც არ ჰქონდათ ბრძოლის არავითარი გამოცდილება და ამიტომ ფოთსა და სენაკში დაბანაკების შემდეგ უნდა ჩაეტარებინათ სამხედრო წვრთნა და შემდგომში, როცა სამთავრობო ძალებიც შემოუერთდებოდნენ და იარაღს მისცემდნენ, ისინი ბრძოლით შევიდოდნენ აფხაზეთში. ფრონტმა ვერ შეძლო დასახული მიზნის განხორციელება, რადგანაც, როგორც შემდეგ გახდა მისთვის ცნობილი, 13 იანვარს დილით სახელმწიფოს მეთაურთან გამართულ თათბირზე უშიშროების სამსახურს, თვით მაშინდელ ხელმძღვანელს, იგორ გიორგაძეს დაევალა მათი გაჩერება და აღნიშნული აქციის დაშლა, რაც შესრულდა კიდეც. ხაშურთან უშიშროების სამსახურის შეიარაღებულმა ხალხმა დაცხრილა ავტობუსი, დაიჭრა 6 კაცი. ზესტაფონთან კი მოხდა ძირითადი ნაწილის შეჩერება. ჩატარდა მათი ჩხრეკა. თითქოსდა აღმოჩენილი იქნა ათეულობით ცეცხლსასროლი იარაღი, რაც, მისი აზრით, ფრონტის წევრებისა არ იყო. თვით ის ხალხის გაჩხრეკას და იარაღების ჩამორთმევას არ დასწრებია. არ შემდგარა არავითარი ომი. გაურკვეველია იმ პირთა ვინაობა, ვინც ჩხრეკა ჩაატარა. პასტერის ქუჩაზე შეკრებილ ხალხში მან შეამჩნია ავტომატებით შეიარაღებული პირები. მისი აზრით, ისინი უშიშროების სამსახურის მუშაკები იყვნენ. არც მას და არც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის სხვა ლიდერებს ხალხისათვის შეიარაღებისაკენ არ მოუწოდებიათ. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ფოთსა და სენაკში ისინი უიარაღოდ შევიდოდნენ, სადაც ჩაატარებდნენ გარკვეულ სამხედრო წვრთნას და შემდეგ სახელმწიფო სტრუქტურების ნებართვით და დახმარებით, იარაღით შევიდოდნენ აფხაზეთში.

თენგიზ კიტოვანმა ასევე განმარტა, რომ ფრიდონ ინჯია მას სამი თვე ატყუებდა მისი კუთვნილი ტელეგადაცემების დაბრუნების გამო. ამიტომ თვით მივიდა მასთან სამსახურში. ტელეგადაცემების დაბრუნების თაობაზე კამათის დროს მიაყენა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა, თან ჰქონდა ტაბელური მიკრალი, მაგრამ არ უხმარია, არც მისი დემონსტრირება მოუხდენია. ამის საჭიროება არ იყო. რაც შეეხება წარდგენილ ბრალდებას იარაღების ნაწილში, მან განმარტა, რომ ბინიდან ამოღებული ავტომატები მილიციის სკოლის ხელმძღვანელობამ გადასცა მას დაცვისათვის. კარაბინი, ოპტიკური სამიზნით, აჩუქა იგორ გიორგაძემ, ავტომატური პისტოლეტი „სტეჩკინი" კი ზვიად გამსახურდიამ. დაბა წყნეთსა და სხვა ბინებშიც აღმოჩენილი ვაზნებიც მისია, შემორჩა და ჰქონდა სახლში თავდაცვის მინისტრად ყოფნის პერიოდიდან. ამასთან მას, როგორც დეპუტატს, ჰქონდა ტაბელური, მაკაროვის სისტემის პისტოლეტი. მისი აზრით, მისი თანამდებობისა და პიროვნული სტატუსის მქონე ადამიანს ჰქონდა უფლება აღნიშნული იარაღების შენახვისა.

განსასჯელმა ირაკლი სურგულაძემ მის მიმართ წარდგენილი ბრალდებაში არ ცნო თავი დამნაშავედ და განმარტა, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის ჩამოყალიბების იდეა გაჩნდა მას შემდეგ, როცა საქართველომ დაკარგა ტერიტორიების ნაწილი და მშვიდობიანი გზით მისი დაბრუნება ჩიხში მოექცა. ფრონტის ჩამოყალიბების იდეა გამომდინარეობდა ეროვნული ინტერესებიდან, მათ უარყვეს პარტიულობის პრინციპი, რათა ყველას, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა, მონაწილეობა მიეღო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში. გრიბოედოვის სახელობის თეატრში ჩატარდა ეგფ-ის კონფერენცია, რომელსაც საქართველოს ყველა კუთხიდან 600-მდე დეპუტატი ესწრებოდა. გამოქვეყნდა ფრონტის წესდება, პროგრამა, ჩამოყალიბდა ფრონტის ცენტრალური საბჭო თ.კიტოვანის თავმჯდომარეობით. თვით ის აირჩიეს ეგფ-ის პოლიტიკურ მდივნად. კონფერენციის შემდეგ, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია და მისი წესდება, მთელი რიგი შესწორებების შემდეგ რეგისტრაციაში იქნა გატარებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ. ეგფ-ის ძირითად მიზანს სახალხო დიპლომატიის გზით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა წარმოადგენდა. უშუალოდ თვით მისი საქმიანობა კი შემოიფარგლებოდა ეროვნული დოქტრინების შექმნით. კერძოდ, უმოკლეს ვადაში მათ მიერ შექმნილი იქნა სამხედრო დოქტრინა, რაც ფართოდ გაშუქდა პრესაში და რასაც დადებითი შეფასება მიეცა. ი.სურგულაძის განმარტებით, ეგფ არ იყო

გაგრძელება მე-5 გვ


თენგიზ კიტოვანი


ვალერი ფისუნი


ირაკლი სურგულაძე

ჟურნალისტური გამოძიების ტრიბუნა

# „თქვე ოხრებო, გვენცაძე საქართველოა?!“

## ქობალიას, ბოკუჩავასა და ძიძიგურისადმი წაყენებული საბრალდებო დასკვნის კომენტარი

ნოდარ ნათაძე

ზემოხსენებულ პირთა მიმართ საბრალდებო დასკვნა იმავდროულად სისხლიანი ეპოქის პანორამასაც შლის. ამიტომ ბ-ნ ნოდარ ნათაძის თხოვნა იმის შესახებ, რომ მოგვაწოდოთ გამოხმაურებანი, სავსებით ბუნებრივია საქმის არა მარტო სამართლებრივი, ისტორიული მნიშვნელობისთვისაც. ბუნებრივია, ყოველი გამოხმაურება რედაქციის პოზიციის ამსახავი ვერ იქნება, მათ შორის ამ პუბლიკაციებზე პასუხისმგებელიც მხოლოდ ავტორია.

**„საქართველოს“** ამაწინა ნომერში გამოქვეყნდა ჩემი მასალა სათაურით „გვემუქრება 1937 წელი“, რომელიც ეხებოდა, კონკრეტულად, დღეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მიმდინარე ერთ-ერთ პროცესს. ლაპარაკი იყო ერთ ძალიან მძიმე პროგნოზზე ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობის განვითარების შესახებ, მოყვანილი იყო ციტატები საბრალდებო დასკვნიდან და მოცემული იყო კომენტარები მათ შესახებ. **ეს ჩემი, როგორც მოქალაქის, ხელშეუხებელი უფლებაა**, რა აზრისაც არ უნდა იყოს ამ თემაზე ზოგი საპასუხისმგებლო თანამდებობის იურისტი, ვისაც ამ სფეროში საჯაროობა მაინცდამაინც არ უხარია. მე პირადად ამ საქმესთან კონტაქტში მოვედი იმის წყალობით, რომ მოწმედ ვიყავი გამოძახებული პროცესზე, მაგრამ სასამართლომ, ჩემი შთაბეჭდილებით, არ ისურვა იმ ინფორმაციის **სრულად** მიღება, რომელიც მე მქონდა. შემდეგში ჩემი ჩვენების შინაარსი დაახლოებით 180 გრადუსით შეტრიალებული სახით გადასცა ტელევიზიამ (შეცდომით), რაზედაც ბოდიში მოიხადა (მე ამისთვის, ცხადია, მადლობელი ვარ). მთელმა ამ ეპიზოდმა და იმან, რაც მასთან დაკავშირებით ვნახე და მოვისმინე, კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ჩვენს პირობებში მოქალაქეს არა აქვს უფლება განზე იდგეს იმასთან, რაც სასამართლო და, საერთოდ, სამართალდამცავ სისტემაში ხდება. ჩემი ურყევი რწმენით, **თავისუფლება, პური და სამართალი**, როგორც კერძო ადამიანის, ისე ერისა და საერთოდ საზოგადოების უპირველესი მოთხოვნილებებია და ვისაც ესენი წართმეული აქვს, იმას ყველაფერი წართმეული აქვს. დიქტატურისა და მისი მცდელობის პირობებში ჟურნალისტური გამოძიება ის ყველაზე ქმედითი იარაღია, რომელსაც შეუძლია საზოგადოება უსამართლობის ძალმომრეობისაგან დაიცვას. მე ვაპირებ ეს იარაღი მაქსიმალურად გამოვიყენო და სხვებსაც მოვუწოდებ, მაქსიმალურად გამოიყენონ ჩვენი ცხოვრების ყველაზე მწვავე საკითხებში სიმართლემდე მისასვლელად - პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, იმ უპირველეს მწვავე საკითხში, რომელსაც ჰქვია ჩვენი დამარცხების მიზეზი აფხაზეთის ომში.

ჩემი პუბლიკაცია „საქართველოში“ ეხებოდა საბრალდებო დასკვნის მხოლოდ პირველ 20 გვერდს. განვაგრძობ პუბლიკაციას და კომენტირებას, რადგან ეს აუცილებლად მიმაჩნია. საქმე ეხება ისეთ უმძიმეს პრობლემას, როგორიც ჩვენი აფხაზური ტრაგედიის მიზეზებია. ამგვარად, ჩვენ ვალდებულნი ვართ, საქმესთან დაკავშირებული **ყველა** გარემოება გავითვალისწინოთ, რათა ამით მაინც მოვამზადოთ მასალა მომავალი ობიექტური პროცესუალური გამოძიებისთვის. ქვემოთ ვაქვეყნებ ნაწყვეტს ჩემი განცხადებიდან ტელევიზიით, შემდეგ კი - მოწმის იმ ჩვენებას, რომლის მიწოდებაც სასამართლოს შევთავაზე. მაგრამ ვიდრე საქმეზე გადავიდოდეთ, მინდა გავასწორო წინამდებარე გაზეთის წინა ნომერში (№49, 1996) მეოთხე გვერდზე დაშვებული ტექნიკური ხარვეზი. არეულია აბზაცები. მათი თანმიმდევრობა უნდა იყოს შემდეგი:

„5. პროკურორის სიტყვით, „ზგამსახურდიას ხელისუფლებამ დიალოგის, სადაო საკითხების განხილვის და კანონიერი გადაწყვეტილების მიღების ნაცვლად შეწყვიტა მშვიდობიანი ურთიერთობა ოპონენტებთან, სატრანსპორტო და სამშენებლო ბარიკადებით გადაკეტა უზენაესი საბჭოს წინა მოედანი და თვით შენობაში განათავსა საბრძოლო ტექნიკით აღჭურვილი პოლიციის, გვარდიის ნაწილები და ხელისუფლების მხარდამჭერი შეიარაღებული პირები“ (გვ.9).

ამ საქმეში მე, შეიძლება ითქვას, პირდაპირი მონაწილე ვარ და შემიძლია ბრალმდებელს სიცრუე პირში ვამხილო. სხვების გარდა, მეც სისტემატურად მივდი-მოვდიოდი უზენაეს საბჭოსა და თბილისის ზღვას შორის, რათა საერთო ენა მონახულიყო. მოლაპარაკება არ შეწყვეტილა. უკანასკნელად მე ვიყავი ზღვაზე 17 დეკემბერს და მეტად აღარ წავსულვარ მხოლოდ იმიტომ, რომ შევატყე, ზღვაზე მყოფთ მეტზე ველარაფერზე დავიყოლიებდი. აქ დასახელებულ მოქმედებებში ზოგიერთი ხელისუფლების სისუსტის მაჩვენებელია, მაგრამ არც ერთი არაა **უკანონო**“.

„6. პროკურორის სიტყვით, „უზენაესი საბჭოს დეპუტატების ნაწილი ასევე უკმაყოფილებას გამოთქვამდა ხელისუფლების უკანონო ქმედებათა გამო, რისთვისაც მათ რიგ შემთხვევაში უზენაესი საბჭოს სხდომებზე არ უშვებდნენ - ამ მიზნით სპეციალურად დაქირავებული და გაწვრთნილი პროვოკატორები, ე.წ. „კარვის ქალები“, რომლებიც ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ მათ“.

„ეს ცილისწამებაა. „ოპოზიციონერი დეპუტატი“ მეც გახლდით, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მე (გარდა ერთი სხდომისა, როცა ავად ვიყავი) სხდომაზე არ მისულიყავი ან ვერ მისულიყავი. ასევე ყველა სხვაც“.

ახლა რაც შეეხება საქმეს. ჩემს განცხადებაში ტელევიზიით ნათქვამია, კერძოდ, შემდეგიც: „მე დავასახელე ეპიზოდი. 1992 წელს აგვისტოში ქობალიას რაზმმა შესთავაზა სამთავრობო ნაწილებს, ჩვენ წინ გაგიძღვებით, რადგან აქაურობა უკეთ ვიცით, თქვენ კი უკან მოგვყვითო. ეს იყო სოხუმთან. მოწმესაც დავასახელებ-მეთქი“. მოსამართლემ, ბატონმა ალადაშვილმა შემაჩერა, ეს თემა არ გვინდაო. მოწმე არის და შემიძლია დავასახელო-მეთქი“.

ახლა ვასახელებ ამ მოწმეს, ბატონ გიორგი დავითის ძე თამლიანს, რომელმაც უფლება მომცა მისი ჩვენება გამოვაქვეყნო. იგი მზად იყო და არის ეს თქვას სასამართლოს წინაშე. აი, რას ბრძანებს იგი:

„გია ყარყარაშვილს ნათქვამი ჰქონდა, - უფრო ზუსტად გეტყვით, დაფიცებული ჰქონდა, რომ ზუგდიდში იარაღით არასოდეს არ შევა. ამიტომ მას არ შეეძლო ზუგდიდში გავლა მძიმე ტექნიკით, როდესაც 1992 წლის აგვისტოში აფხაზეთში დაწყებული ომის გამო აფხაზეთში მიდიოდა. გამონახეს ასეთი ხერხი. „თეთრი არწივის“ შტაბის უფროსმა, აწ განსვენებულმა პოლკოვნიკმა ზაზა დუმბაძემ, ჩემმა მეგობარმა, მე გამაგზავნა ლოთი ქობალიასთან მოლაპარაკებისთვის, რათა მიგვეღო „თეთრი არწივის“ ზუგდიდზე გატარების უფლება თავისი მძიმე ტექნიკიანად და გაკეთებულიყო დერეფანი ხობის რაიონიდან ენგურამდე. ჩემი და ზაზა დუმბაძის ლაპარაკი შედგა თბილისის ზღვაზე, „თეთრი არწივის“ განლაგებაში. მართლაც, დავიძარით და „თეთრი არწივი“ გაჩერდა ხობში. მე მარტო წავედი მანქანით ზუგდიდში და წამოვიყვანე ხობში ლ.ქობალიას წარმომადგენელი. მან მოილაპარაკა გ.ყარყარაშვილთან დერეფნის შექმნის შესახებ. მოლაპარაკებას ვესწრებოდით მე, „თეთრი არწივის“ ბატალიონის მეთაურის მოადგილე ელგუჯა ჩხაიძე, ზაზა დუმბაძე. მოილაპარაკეს და ლ.ქობალიას წარმომადგენელმა დაუმატა: „წამოვიდეს ეს ორი კაცი და დაათვალიეროს ჩვენი ტექნიკა. თუ გინდათ, თქვენც წამოდით, შეხედეთ და დარწმუნდით, რომ ის ტექნიკა ჯობია თქვენ მოძველებულ ტექნიკას. ამით საომრად ბიჭები ცოდვები არიან. თუ მოგეწონებათ ჩვენი ტექნიკა, ასე ვქნათ: ჩვენ გაგიძღვებით წინ. გზები თქვენზე უკეთ ვიცით. აფხაზეთში რომელი ფოთოლი საით ირხევა, ის ვიცით. თქვენ მოგვყევით ზურგში. თქვენ რომ იქნებით ჩვენ ზურგში, მშვიდად ვიქნებით. თორემ სხვა ნაწილები თუ იქნებიან ჩვენ ზურგში, ვერ ვენდობით“. ყარყარაშვილმა უპასუხა: „მე მხოლოდ ჩემი ნაწილი მაბარია და პასუხისმგებელი ვარ ფრონტზე აქედან აქამდე (ხელების გაშლით მანიშნა). მეტზე პასუხისმგებლობას მე ვერ ავიღებ“. გააკეთეს დერეფანი, გამოატარეს „თეთრი არწივი“ თავისი ტექნიკით და მიგვაცილეს საჯვარომდე. იქით გზა ცარიელი იყო“.

მიმაჩნია, რომ ამ ჩვენების გაუთვალისწინებლობის უფლება არა აქვს სასამართლოს, რომელიც აფხაზეთში ჩვენი დამარცხების მიზეზს იკვლევს სხვათაშორის მაინც.

ახლა მივყვეთ საბრალდებო დასკვნას. აქ 25-ე გვერდზე მოთხრობილია პარლამენტარების რომან გვენცაძის, დავით სარალიძის, ვალიკო როგავას, ზიბერტ ხაზალიას, ტარიელ მწარიაშვილის და მამია ალასანიას დატყვევების ამბავი ქ.ზუგდიდში, ოჯახში, მოლაპარაკების მიზნით ვიზიტის დროს (პატარა შეცდომაა: აღნიშნული პირები პარლამენტარები არ იყვნენ). მათ დამტყვევებლად დასახელებულნი არიან, რომეო კუჭუხიძე, ზვიად ლელაძე და გოჩა ბახია. მე პირადად ვიცნობ გოჩა ბახიას. მის შესახებ არსებობდა (და ალბათ არსებობს) ვერსია, რომლის თანახმადაც იგი ყოფილ სსრკ ერთ-ერთ სპეცსამსახურში იყო და „სერიკოვის“ ზედწოდება ჰქონდა. ასეა თუ არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, რომ ამგვარი ვერსია არსებობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, კერძოდ, მე ეს ჰიპოთეზა დამიდასტურა იმ დროის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა, მანამდე კი დიდხანს (მათ შორის - ზ.გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს) საქართველოს უშიშროების კომიტეტში ხელმძღვანელ თანამდებობაზე ნამუშევარმა ბ-ნმა თამაზ ნინუამ (მოწმე: იმ დროს პარლამენტის წევრი გ.როგავა). ახლა საკითხავია: როცა იძიებენ რ.გვენცაძის და სხვათა მოტაცების ამბავს გ.ბახიას მონაწილეობით, აქვს თუ არა მნიშვნელობა გამოძიების ობიექტურობისთვის, კერძოდ - ამ ფაქტის აზრისა და მის უკან მდგომი განზრახვის დადგენისათვის იმის გათვალისწინებას, გ.ბახია ვინმეს სპეცსამსახურთან კავშირში იყო იმ დროს თუ არა? მე მგონი, აქვს!

უნდა მოგახსენოთ, რომ იმავე ოჯახში, სადაც ბ-ნი რ.გვენცაძე და სხვები შეიპყრეს, სახელდობრ, ბ-ნ გრ.ქობალიას ოჯახში, ქ.ზუგდიდში უფრო ადრე, 1992 წლის მარტ-აპრილში ორჯერ მეც გახლდით (იმ დროს ჯერ კიდევ ვადაგაუსვლელი უზენაესი საბჭოს დეპუტატი), როგორც ვითარების დარეგულირებაზე მოლაპარაკების მონაწილე. ვ.ქობალიაც იქ იყო, გ.ბახიაც, ვ.როგავაც და მრავალნი სხვანიც. მაგრამ არავისი შეპყრობა არავის უფიქრია. მე, როგორც მოქალაქეს, უფლება მაქვს კითხვა აღვძრა: რატომ მოხდა რ.გვენცაძის დაკავება, რომელსაც, როგორც მოვლენათა აქტიურ მონაწილეს (იგი სულ იმყოფებოდა ამა თუ იმ მაღალ თანამდებობაზე), არავისთან (იმ დროის მოვლენებში ჩაბმულ არც ერთ ჯგუფთან) მაინცდამაინც ცუდი ურთიერთობა ან ურთიერთმტრობა არ ჰქონდა?

შემდეგ საბრალდებო დასკვნის 26-ე გვერდზე ნათქვამია: „საქართველოს ხელისუფლების აქტიური ჩარევის შედეგად, ზაურ და ვახტანგ ქობალიები იძულებული გახდნენ, რომ რომან გვენცაძე გაეთავისუფლებინათ 1992 წლის 14 აგვისტოს“ (სხვებიც რიგრიგობით, მომდევნო დღეებში). რა როლი ითამაშა მოვლენათა განვითარებაში რ.გვენცაძის განთავისუფლებამ „საქართველოს ხელისუფლების აქტიური ჩარევის შედეგად სწორედ ამ დღეს (ეს საომარი მოქმედების დაწყების დღე იყო), ეს ჩანს ზემოხსენებული ბ-ნ ელგუჯა ჩხაიძის მოგონებიდან, რომელიც მან გაგვიზიარა და გულუხვად მოგვცა უფლება გამოგვექვეყნებინა. იგი მზადაა ეს ჩვენება სასამართლოს წარუდგინოს (იგი, როგორც ვთქვით, „თეთრ არწივში“ იყო). აი, ეს მოგონებაც: „გავიარეთ ტამიში. შემოგვხვდა დიდი სიჩქარით სოხუმიდან მომავალი იკარუსები, რამდენიმე ათეული. მილიციელებით იყო გატენილი. „სად მიდიხართ?“ - ვკითხეთ. „თბილისში მივდივართ, გვენცაძე გამოუშვეს, ის უნდა ვნახოთ“. „თქვე ოხრებო, გვენცაძე საქართველოა?“ - ეუბნებოდნენ მათ აღშფოთებული მებრძოლები. მაგრამ იკარუსები მაინც წავიდნენ. მხოლოდ კურსანტების მცირე ჯგუფი გამოეყოთ და გვითხრეს: „მილიციიდან რომც გაგვაგდონ, ბიჭებო, მაინც თქვენთან წამოვალთ“. მართლაც, წამოვიდნენ და ბოლომდე ჩვენთან იყვნენ. ვინ მისცა მილიციას ეს ბრძანება, არ ვიცი.

მოხდა ძალიან ცუდი რამე. სოხუმში მილიციას უნდა ჩაებარებინა ჩვენგან სტრატეგიული ობიექტები: ვაგზალი, რკინიგზა, ტელეანძა, სურსათის ბაზები, ელექტროქვესადგურები და სხვა. ჩვენ გზა უნდა გაგვეგრძელებინა. მილიციის გამოყვანით ჩვენ იძულებული გავხდით, სოხუმში დავრჩენილიყავით და მილიციის ეს ფუნქცია ჩვენ თავზე აგვეღო, დავრჩით სოხუმში“.

ახლა ვიკითხოთ: შეიცავს თუ არა ეს მოგონება ინფორმაციას იმაზე, თუ რამ განაპირობა (ალბათ, სხვა ფაქტორებთან ერთად) 1992 წლის აგვისტოს ოპერაციის [illegible] და შემდეგში, ომის წაგება? რომელი იყო პირველი [illegible] აფხაზეთის ომის ისტორიაში? ან ერთ-ერთი მიზეზთაგანი? ვის ეკუთვნოდა იგი? და თუ 65-ე მუხლით (სამშობლოს ღალატი) პროკურორი სასიკვდილო განაჩენს მოითხოვს სამი კაცისთვის, რომელთა გამოც, საბრალდებო დასკვნით, საქართველოს ძალების ერთობა არ შედგა, შეიძლება თუ არა ამ თემაზე დასკვნების გაკეთება **ზემოხსენებული ჩვენების გათვალისწინების გარეშე?** პროკურორის მსჯელობა ამ თემაზე სავსებით კატეგორიულია. განსასჯელთა მიერ მატერიალური დოვლათის გატაცების თემიდან (რომელსაც რამდენიმე გვერდი უჭირავს და რომლის განხილვის მართებულობაზეც მე ვერ ვიმსჯელებ, რადგან დასკვნაში არაა ციტირებული თვით საქმის მასალები) დასკვნის ავტორი უცებ **ხტება** შეუდარებლად უფრო ფართო თემაზე - აფხაზეთში ომის წაგების თემაზე - და წერს: „ქობალიამ, ბოკუჩავამ, აბსანძემ, ძიძიგურმა, ქლენტმა, მოლოდინაშვილმა და მათთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფმა შეთქმულებმა მიაღწიეს თავიანთი დანაშაულებრივი გეგმის აღსრულებას, საქართველოს ხელისუფლების სამხედრო კრახს აფხაზ სეპარატისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში“ (გვ. 45).

ამგვარად, გამოდის, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების დამარცხება 1992-1993 წლების ომში აფხაზეთის ტერიტორიაზე სეპარატისტებსა და უცხო დაქირავებულთა და მოხალისეთა წინააღმდეგ იყო ზემოხსენებული პირების (განსასჯელების) გეგმის „აღსრულება“, რომელსაც მათ „მიაღწიეს“ თავისი დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად, და **არა** სულ სხვა, მათ მოქმედებასთან დაუკავშირებელი ქმედებების შედეგი, რომლებსაც ადგილი ჰქონდა დროის ამავე მონაკვეთში: სარდლობის სწორი ან უსწორო მოქმედებისა, შეიარაღებულ ძალთა სწორი ან არასწორი ფორმირებისა, დისციპლინისადმი სწორი ან უსწორო მიდგომისა, მოწინააღმდეგესთან სწორად თუ არასწორად გათვლილი შეთანხმებების დადებისა და ა.შ. აი, ამ მტკიცებას, რომელიც საბრალდებო დასკვნაში სავსებით **პირდაპირი** ფორმით გამოთქმული არ არის, მაგრამ მაინც **გამოთქმულია** (იხ. ციტატა ზემოთ), **დასაბუთება** სჭირდება! ეს დასაბუთება არ არსებობს. საპირისპირო მამტკიცებელი მასალა კი ბევრია. იგი **თავს მოიყრის** (იმედი გვაქვს, რომ, სხვათაშორის, „საქართველოს“ რედაქციაშიც) და, ადრე თუ გვიან, ვითარების ნამდვილ სურათსაც გამოაჩენს.

ამჯერად ვჩერდებით საბრალდებო დასკვნის 54-ე გვერდზე. იმ უაღრესად საინტერესო მასალას, რასაც საბრალდებო დასკვნის შემდგომი ნაწილი შეიცავს, შემდეგ წარმოგიდგენთ. ვვარაუდობთ, რომ თვითმხილველთა და სხვა მოწმეთა ჩვენებები, როგორც აქ განხილული მოვლენების, ისე საერთოდ დასავლეთ საქართველოში დატრიალებული მთელი ტრაგედიის შესახებ, აფხაზეთის ჩათვლით, თანდათანობით თავს მოიყრის ჩვენთან და თავის სათქმელს იტყვის.



ზვიად ძიძიგური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განაჩენი

მესამე გვერდიდან

შეიარაღებული ფორმირება. მართალია, საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ჩამოყალიბდა ეგფ-ს რეგიონალური ორგანიზაციები, მაგრამ მათი შექმნის მიზანს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად საქართველოს მთელი მოსახლეობის გაერთიანება წარმოადგენდა. რაც შეეხება 1995 წლის 13 იანვრის აქციას, მან აღნიშნა, რომ 1994 წლის დეკემბერში დაიწყო ჩეჩნეთის კრიზისი. ამასთან იყო ზამთარი, გადაიკეტა უღელტეხილები, ფრონტის ხელმძღვანელობისათვის ასევე გახდა ცნობილი, რომ აფხაზებმა 1000 „ბოევიკი" შეიყვანეს გალის რაიონში. ყოველივემ განაპირობა, ის, რომ ეგფ-ს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, დაბრუნებულიყვნენ დასავლეთ საქართველოს მიმართულებით, რის შესახებაც იცოდნენ, როგორც აფხაზეთიდან ლტოლვილებმა, ასევე პარლამენტართა უმრავლესობამ. 13 იანვარს დილით პასტერის ქუჩაზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, იქვე იდგნენ იკარუსის მარკის ავტობუსები. ის და ვალერი ფისუნი წავიდნენ მასთან სახლში, ისაუზმეს და შემდეგ შეუერთდნენ კოლონას. ის იჯდა „ლინკოლნის" მარკის ავტომანქანაში, რომელსაც მართავდა თკიტოვანი, ზესტაფონთან გზა იყო შევიწროებული „ბტრ"-ის მიერ, იქვე იყვნენ ნიღბიანი მეომრები. კოლონა შეჩერდა, ის მივიდა მათთან, შეხვდა თემურ ხაჩიშვილს, რომლისგანაც შეიტყო განკარგულება მათი შეჩერების, განიარაღების და უკან დაბრუნების შესახებ. აღნიშნული მან შეატყობინა თკიტოვანს. იმის გამო, რომ არ მომხდარიყო უდანაშაულო ხალხის ხოცვა, თკიტოვანმა გასცა ბრძანება: ვისაც იარაღი გაქვთ, ჩააბარეთო, თვით მან ჩააბარა, კერძოდ, „პეპოს" მარკის მიკროავტობუსში ჩადო თავისი ტაბელური მაკაროვის სისტემის პისტოლეტი. შემდეგ ავტობუსებში მყოფი ხალხი გაჩხრიკეს, როგორც მისთვის გახდა ცნობილი, ამოიღეს ერთეული რაოდენობით ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მაგრამ მას არ შეუძლია მიუთითოს, ვინ იყვნენ იარაღის ჩამბარებლები - ფრონტის წევრები თუ სხვა პირები. 13 იანვარს დილით პასტერის ქუჩაზე მან ნახა ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები, ჯიმი მიქელაძე, დემური მიქაძე, რომლებიც ურჩევდნენ მათ, რომ შეეწყვიტათ აქცია, მაგრამ მათი სიტყვები არ იყო კატეგორიული და მან ის მეგობრულ თხოვნად აღიქვა. რომ ყოფილიყო კატეგორიული მოთხოვნა, რა თქმა უნდა, არ წავიდოდნენ დასავლეთ საქართველოს მიმართულებით. ამრიგად, ირაკლი სურგულაძის განმარტებით, ეგფ არ წარმოადგენდა შეიარაღებულ ფორმირებას და ფრონტს არ ეუქმნია ასეთი. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით მიდიოდნენ დასავლეთ საქართველოში, რათა დაბანაკებულიყვნენ ფოთსა და სენაკში, შეექმნათ პლაცდარმი, ჩაეტარებინათ სამხედრო წვრთნა და შემდგომ ხელისუფლების ნებართვის და ხელშეწყობით ბრძოლით შევიდოდნენ აფხაზეთში.

განსასჯელმა ვალერი ფისუნმა წარდგენილ ბრალდებაში არ ცნო თავი დანაშავედ და განმარტა, რომ ის არის რუსეთის სახელმწიფოს მოქალაქე, გაზეთ „კუბანის კურიერის" კორესპონდენტი, რუსეთის „კონსერვატორიულ-მონარქისტული პარტიის წევრი და სხვა. რომ მას ჰქონდა მჭიდრო კავშირი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსთან. ის არ იყო ეგფ-ის წევრი, 1994 წლის ივლისში მოსკოვში რუსეთის კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის თავმჯდომარის ლევ უბოჟკოს მეშვეობით გაიცნო თენგიზ კიტოვანი, რომელიც საქართველოს აფხაზეთის განთავისუფლების მიზნით ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტს ჰქმნიდა. ის, როგორც ეროვნული დოქტრინების საკითხში გამოცდილი პირი, თკიტოვანმა მოიწვია საქართველოში. 1994 წლის სექტემბერში ის ჩავიდა თბილისში, ცხოვრობდა თკიტოვანის სახლში, მეუნარგიას ქუჩაზე. მისი საქმიანობა შემოიფარგლებოდა ეგფ-ის წესდებისა და პროგრამის დამუშავებაში. ასევე საქართველოს სამხედრო და ეროვნულ უშიშროების დოქტრინის შემუშავებაში. რა თქმა უნდა, ის მარტო არ მუშაობდა ამ საკითხებზე. თკიტოვანი, სამუშია, ძირითადად კი თენგიზ სიგუა და ირაკლი სურგულაძე ეროვნული პრინციპებიდან გამომდინარე მუშაობდნენ ამ საკითხებზე, ისიც ეხმარებოდა მათ, გარკვეული წვლილი შეჰქონდა დოკუმენტის დახვეწასა და მთლიანი სახის მიღებაში. 1995 წლის 11 იანვარს ეგფ-ის შტაბ-ბინაში გამართულ თათბირზე გადაწყდა მათი წასვლა დასავლეთ საქართველოს მიმართულებით, რათა ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოეხდინათ აფხაზებზე, რომლებიც ამ დროს აპირებდნენ გალის რაიონის მოსახლეობის დარბევას. მისი აზრით, ეგფ-ის წესდებიდან გამომდინარე, ფრონტს ჰქონდა უფლება შეიარაღებული ფორმირების ჩამოყალიბებისა, თუმცა კი ასეთი არ შექმნილა, ის სამუშიასა და კიტოვანის თხოვნით გაჰყვა ეგფ-ს დასავლეთ საქართველოში როგორც ჟურნალისტი, მაგრამ ისინი დააკავეს ზესტაფონთან, დააბრუნეს თბილისში, რის შედეგაც ის პატიმრობაშია, რაც მას უკანონოდ მიაჩნია. ფისუნმა ასევე განმარტა, რომ ის სურგულაძესთან ერთად იყო ფოთსა და ხობში, სადაც შეკრებილი ლტოლვილების წინაშე სიტყვითაც კი გამოვიდა, მაგრამ მას არავისთვის მოუწოდებია შეიარაღებული ფორმირების ჩამოყალიბებისაკენ.

მართალია, განსასჯელებმა თკიტოვანმა, ისურგულაძემ და ვფისუნმა წარდგენილ ბრალდებაში არ ცნეს თავი დამნაშავედ, მაგრამ მათ მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურებულია დაზარალებულების და მოწმეთა ჩვენებებით, ექსპერტიზის დასკვნებით, ნივთმტკიცებით და საქმის სხვა მასალებით.

დაზარალებულმა ფრიდონ ინჯიამ სასამართლო პროცესზე განმარტა, რომ ის არის საქართველოს ფოსტისა და კავშირგაბმულობის მინისტრი. 1994 წელს სამინისტროს გამგებლობაში აღმოჩნდა ტელეგადაცემები, აპარატურა ყოველგვარი კუთვნილების დამადასტურებელი საბუთის გარეშე. მისი უწყება კი ვალდებული იყო, შეენახა აღნიშნული, რადგანაც ტელეგადაცემების გამოყენება მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის არსებობის შემთხვევაში არის შესაძლებელი. მას რამოდენიმეჯერ ტელეფონით ესაუბრა თენგიზ კიტოვანი, მოითხოვდა მისგან ტელეგადაცემებისთვის აპარატურის მიცემას, რაზეც ის უარს ეუბნებოდა. 1995 წლის 25 ოქტომბერს სატელეფონო საუბრის შემდეგ, დაახლოებით 15 საათზე, თკიტოვანი ორი შეიარაღებული პირის თანხლებით შეიჭრა კავშირგაბმულობის შენობაში მის კაბინეტში. აგინა მას უცენზურო სიტყვებით, შუბლზე მიადო ცეცხლსასროლი იარაღი, მოითხოვდა ტელეგადაცემების მიცემას. მან ძლივს შეძლო მისი დაწყნარება.

მოწმემ, საქართველოს შს მინისტრის პირველმა მოადგილემ ჯემალ მიქელაძემ სასამართლო პროცესზე განმარტა, რომ 1995 წლის 13 იანვარს დილით ადრე იმყოფებოდა სამსახურში. მას დაურეკა შს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა ლევან კენჭაძემ და შეატყობინა, რომ პასტერის ქუჩაზე ეგფ-ის შენობასთან იკრიბებოდა ხალხი და ტრანსპორტი. აღნიშნული მან შეატყობინა ხელმძღვანელობას, თვით კი წავიდა პასტერის ქუჩაზე, რათა ადგილზე გაერკვია სიტუაცია. ეგფ-ის შტაბბინასთან იყო ხალხმრავლობა. ეზოში შეგროვილი იყო 200-მდე კაცი, რომელთა ნაწილი შეიარაღებული იყო ავტომატებით. ის თენგიზ კიტოვანს შეხვდა მის სამუშაო ოთახში, უთხრა, რომ შეეწყვიტა აქცია, არ წაეყვანა შეიარაღებული ხალხი დასავლეთ საქართველოსკენ, რომ საჭირო იყო აღნიშნულის შეთანხმება ქვეყნის ხელმძღვანელობასთან. მათ საუბარს ესწრებოდნენ თ.სიგუა და ი.სურგულაძე, მათაც იგივე ურჩია. პასუხი ერთი იყო, რომ ეს საკითხი იყო გადაწყვეტილი და ვერავინ შეაჩერებდათ. შემდეგ ის დაბრუნდა სამსახურში, ყოველივე მოახსენა სახელმწიფოს მეთაურს. მიღებული იქნა გადაწყვეტილება კოლონის შეჩერებისა და განიარაღების შესახებ. მისი განკარგულებით ნატახტართან გაძლიერებულ იქნა საგუშაგო. მიუხედავად გაფრთხილებისა, თკიტოვანმა და მასთან მყოფმა პირებმა გააგრძელეს გზა. უშიშროების სამსახურის მუშაკთა მიერ კოლონის ნაწილი შეჩერებული და განიარაღებულ იქნა ქუთაისამდე, ხოლო ძირითადი ნაწილი სოფ. სიმონეთთან. თვით მას მათ შეჩერებასა და განიარაღებაში მონაწილეობა არ მიუღია.

მოწმის სახით დაკითხულმა ქთბილისის შს სამმართველოს უფროსმა დემურ მიქაძემ სასამართლო პროცესზე განმარტა, რომ 1995 წლის 13 იანვარს შეატყობინეს იმის შესახებ, რომ პასტერის ქუჩაზე ეგფ-ის შტაბბინასთან იკრიბებოდა ხალხი. დილით 9 საათზე ის თვით მივიდა პასტერის ქუჩაზე, სადაც ეზოში ნახა 200-მდე კაცი, რომელთა ნაწილი ავტომატებით იყო შეიარაღებული. ის შეხვდა თენგიზ კიტოვანს მის სამუშაო ოთახში, უთხრა მას, რომ ხელი აეღო დასავლეთ საქართველოს მიმართულებით წასვლაზე, რაზეც კიტოვანმა უპასუხა, რომ ეს უკვე გადაწყვეტილი იყო და მილიციის ძალებით მას ვერ შეაჩერებდნენ. აქვე იყვნენ ისურგულაძე და ზსამუშია. კიტოვანის ოთახში მან ნახა რუსი ეროვნების კაცი, როგორც შემდეგ გაიგო, ვალერი ფისუნი, რომელმაც თავი რუსეთის არმიის გენერლად გააცნო. დაახლოებით 12 საათზე უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრები ავტობუსებით წავიდნენ დასავლეთ საქართველოს მიმართულებით. იმავე დღეს, დაახლოებით 15 საათსა და 30 წუთზე თბილისის შს სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებულ იქნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის შენობა. ღამით კი შეიტყო, რომ ფრონტის წევრები და სხვა აქციის მონაწილეები დაეკავებინათ და განეიარაღებინათ.

მოწმე სახუშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილის იოსელიანის სასამართლო პროცესზე მიცემული ჩვენებით დგინდება, რომ 1995 წლის 12 იანვარს ელსმენით დაუკავშირდა თენგიზ კიტოვანი, რომელმაც უთხრა, რომ მეორე დღეს, ე.ი. 13 იანვარს მიჰყავდა ხალხი დასავლეთ საქართველოში. მან მაშინვე ურჩია მას, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ შეეტყობინებინა სახელმწიფოს მეთაურისათვის. ეს საუბარი მან აცნობა უშიშროების სამსახურის ყოფილ ხელმძღვანელს იგორ გიორგაძეს. მეორე დღეს, დილით, გაიგო პასტერის ქუჩაზე ეგფ-ს შენობასთან შეიარაღებული ხალხის შეკრების შესახებ. ის თვით წავიდა პასტერის ქუჩაზე. ეგფ-ის შენობასთან შეხვდა თენგიზ კიტოვანს, იქვე შეკრებილ ხალხში მან შეამჩნია ავტომატებით შეიარაღებული პირები. კიტოვანი მან გააფრთხილა, რომ არ წასულიყო დასავლეთ საქართველოში. წინააღმდეგ შემთხვევაში მიიღებდნენ ზომებს მათ შესაჩერებლად. დადებითი პასუხი მან ვერ მიიღო. 12 საათისათვის კოლონა წავიდა და ის დაბრუნდა სამსახურში. მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად კოლონა შეჩერებული და განიარაღებული იქნა.

მოწმე საქართველოს შსს პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის ლევან კენჭაძის ჩვენებით ირკვევა, რომ 1995 წლის 13 იანვარს, დილით, შეატყობინეს იმის შესახებ, რომ პასტერის ქუჩაზე ეგფ-ს შენობასთან იკრიბებოდა ხალხი და ტრანსპორტი, რის შესახებაც აცნობა სამინისტროს ხელმძღვანელობას. მან ასევე გაიგო, რომ თკიტოვანსა და ეგფ-ის ხელმძღვანელებს მიჰყავდათ შეიარაღებული პირები დასავლეთ საქართველოში. მიიღო დავალება, რომ ნატახტართან გაეძლიერებინათ საგუშაგო, რათა კიტოვანსა და მასთან მყოფ ხალხს არ მისცემოდა გზის გაგრძელების შესაძლებლობა. დავალების შესრულების მიზნით ნატახტარის საგუშაგოზე გაგზავნილი იქნა მისი მოადგილე, ალექსანდრე მიქაბერიძე. დაახლოებით 13 საათზე მას შეატყობინეს, რომ ავტობუსების კოლონამ გაიარა ნატახტარის საგუშაგო. თკიტოვანი არ დაემორჩილა პოლიციას და გააგრძელა გზა. 17 საათისათვის ის შს მინისტრის მოადგილესთან ემზარ საბანაძესთან ერთად წავიდა დასავლეთ საქართველოსაკენ, კოლონის დასაწევად. ზესტაფონთან შეჩერებულ იქნა კოლონა. მათ შეჩერებასა და განიარაღებაში მონაწილეობას იღებდნენ უშიშროების სამსახურის თანამშრომლები. თკიტოვანის მითითებით აქციის მონაწილეებმა ჩააბარეს იარაღი. ის უშუალოდ ესწრებოდა მათ განიარაღებას და „პეპოს" მარკის მიკროავტობუსში იარაღის ჩალაგებას. მიუხედავად იმისა, რომ განიარაღების დროს წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია, სიტუაცია უაღრესად დაძაბული იყო და ამიტომ იარაღის ჩაბარებაზე რაიმე დოკუმენტის შექმნა ფაქტიურად შეუძლებელი იყო.

მოწმე ალექსანდრე მიქაბერიძემ სასამართლო პროცესზე განმარტა, რომ 1995 წლის დასაწყისში ის მუშაობდა შს საგზაო პოლიციის უფროსის მოადგილედ. 1995 წლის 13 იანვარს, როცა ეგფ-ის წევრები ემზადებოდნენ დასავლეთ საქართველოს მიმართულებით წასასვლელად, სამმართველოს უფროსისაგან, ლევან კენჭაძისაგან მიიღო დავალება ნატახტარის საგუშაგოს გაძლიერების თაობაზე. ის წავიდა დანიშნულების ადგილას. ტრანსპორტით შეზღუდეს მოძრაობა. მასთან ერთად იყო დაახლოებით 30-35 პოლიციელი. დაახლოებით 12 საათსა და 30 წუთზე ავტობუსების კოლონა მათში მსხდომი შეიარაღებული პირებით, მიუახლოვდა საგუშაგოს. რადგანაც გზა იყო ნაწილობრივ გადაკეტილი, კოლონა გაჩერდა. ავტობუსიდან გადმოვიდა დაახლოებით 50-60 კაცი, რომელთა შორის ნახევარზე მეტი შეიარაღებული იყო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით. ისინი მოითხოვდნენ გზის გაგრძელებას. მათ აუხსნეს, რომ უნდა შეეწყვიტათ აქცია და უკან დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ ისინი არ დაემორჩილნენ მათ და გააგრძელეს გზა. წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა, რადგან ისინი ავტომატებით იყვნენ შეიარაღებულები. მათ კი მხოლოდ ტაბელური პისტოლეტები ჰქონდათ. კოლონის წასვლიდან რამოდენიმე წუთში საგუშაგოს მოადგა „ლინკოლნის" მარკის ავტომანქანა, საჭესთან იჯდა თკიტოვანი. მასთან ერთად ავტომანქანაში იყვნენ ისურგულაძე და ვ.ფისუნი. კიტოვანის შეკითხვაზე, თუ რაში იყო საქმე, მან აუხსნა, რომ მიღებული ჰქონდათ ბრძანება კოლონის შეჩერების შესახებ, რაზეც კიტოვანმა უპასუხა, რომ ის არავის ემორჩილებოდა და გააგრძელა გზა. მას გაჰყვა სხვა ავტობუსებიც, რომლებიც მის უკან მოდიოდნენ.

მოწმე თენგიზ სიგუამ სასამართლო პროცესზე განმარტა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის შექმნის იდეა დაიბადა 1994 წლის შემოდგომაზე. 1994 წლის 4 ოქტომბერს გრიბოედოვის სახელობის თეატრში შედგა ეგფ-ის დამფუძნებელი კონფერენცია, რასაც 600-ზე მეტი დეპუტატი დაესწრო საქართველოს ყველა კუთხიდან. განიხილეს წესდების პროექტი და მიღებული შესწორებების შემდეგ წარუდგინეს იუსტიციის სამინისტროს რეგისტრაციისათვის. წესდება სამინისტროს მიერ რეგისტრაციაში იქნა გატარებული 26 ოქტომბერს. ეგფ-ის საქმიანობის ძირითად მიმართულებას სახალხო დიპლომატიური მეთოდების გამოყენებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა წარმოადგენდა, ასევე ინტელექტუალური ძალებით საქართველოს დოქტრინების შექმნა, კერძოდ, ეკონომიკური, სამხედრო და უშიშროების დოქტრინებისა. ორ თვეში მომზადებული იქნა სამხედრო დოქტრინა, რაც გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში, გადაეცა პარლამენტს და ის მოწონებული იქნა. რაც შეეხება 13 იანვრის აქციას, კერძოდ, ფრონტის დასავლეთ საქართველოში წასვლა განაპირობა შექმნილმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ, ჩეჩნეთის კონფლიქტის გამწვავებამ, ბუტროს ბუტროს გალის ჩამოსვლამ საქართველოში. ამასთან ნათელი იყო, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები არაფერს აკეთებდნენ ლტოლვილთა საკეთილდღეოდ. 10 იანვარს გადაწყდა, რომ ფრონტის წევრები 13 იანვარს დაიძრებოდნენ დასავლეთ საქართველოსაკენ, რათა დაბანაკებულიყვნენ ფოთსა და სენაკში, სადაც უნდა ჩაეტარებინათ სამხედრო წვრთნა. დილით პასტერის ქუჩაზე ის შეხვდა ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებს: დ.მიქაძეს, ჯ.მიქელაძეს, ა.იოსელიანს. ეს უკანასკნელი გაერკვა

გაგრძელება მე-8 გვ.

## საიდუმლო

**საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თავმჯდომარეს ბატონ ი.გიორგაძეს**

### განცხადება

1972 წლიდან ნებაყოფლობით ვთანამშრომლობდი საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტთან და, როგორც ინფორმატორს, „ვერინის" ფსევდონიმი მქონდა. ამ სფეროში ჩემი საქმიანობა მდგომარეობდა ახალგაზრდობის პოლიტიკური პროცესების შესწავლაში და შეძლების ფარგლებში ვმუშაობდი აქტიურიდან პასიურ მოღვაწეობაში გადაყვანაზე.

1990 წლის დასაწყისიდან ყუბანსა და ყირიმში დემოკრატიულ მოძრაობებში აქტიურად ვმუშაობდი. იმ დროისათვის პოლიტიკური ანალიზის დიდი გამოცდილება და ორგანიზაციის ნიჭი მქონდა, რომლის წყალობითაც ლიდერთა რიცხვში შევედი და პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნაში ვმონაწილეობდი. ვიყავი მათი კოორდინატორი და საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ფედერაციის ბევრ ორგანიზაციასთან მჭიდრო ურთიერთობა დავამყარე. საქმის კურსში შეყვანით მიღებული ვიყავი კრასნოდარის მხარის გავლენიანი პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და რუსეთის გამოჩენილ ლიდერთა წრეში...

ვ.ფისუნი

**P.S. ეს განცხადება არის ვრცელი ტექსტის მხოლოდ შესავალი.**

## ჰაი, ჩვენო ქართლის ბედო!

# ივანე ჯავახიშვილის წინაპრები თურმე სომხები ყოფილან?!

1983 წელს ერევანში ასიათასიანი ტირაჟით გამოცემულ „სომხური საბჭოთა ენციკლოპედიის“ მეცხრე ტომში მოთავსებულია სტატია ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის შესახებ. სტატიას ახლავს ივ.ჯავახიშვილის სურათიც. იგივე გვერდზე დაბეჭდილია გამოჩენილი სომეხი ისტორიკოსის, აკადემიკოს სურენ ერემიანის წერილი „ჯავახქ“. სომხები ჯავახეთს „ჯავახქს“ უწოდებენ. ს.ერემიანის ამ სტატიის თაობაზე საგანგებო საუბარს ჩვენ სხვა დროს ვაპირებთ, ამჯერად კი ყურადღებას მივაპყრობთ მის მხოლოდ ერთ ნაწილს: „შუა საუკუნეებში დიდი მნიშვნელობა შეიძინა თმოგვის (თმკაბერდის) ციხე-ქალაქმა, რომელიც XII–XIV საუკუნეებში ზაქარიანთა სომხური სამთავრობო სახლის მხარგრძელ (ერკაინაბაზუკ)-თმოგველთა შტოს სამთავრო რეზიდენციას წარმოადგენდა. შემდგომში მხარგრძელ-თმოგველთაგან ბევრნი გადასახლდნენ რა ქართლის ცენტრალურ ოლქებში, თავიანთი მშობლიური მხარის (ნაგულისხმევია ჯავახეთი – ა.ა.) სახელის მიხედვით მიიღეს ჯავახიშვილის გვარი (სახელდობრ, სოფელ ხოვლეს მემკვიდრეობით მფლობელებმა)“. ხოვლე სწორედ ივანე ჯავახიშვილის, მისი წინაპრების მშობლიური სოფელია.

აღარ შევუდგებით მსჯელობას იმის თაობაზე, რომ მხარგრძელთა „ზაქარიანებად“ გამოცხადება, „მხარგრძელის“ „ერკაინაბაზუკად“ (სომხურად „ერკაინაბაზუკ“ „გრძელმკლავიანს“ ნიშნავს) თარგმნა არასწორია; ამის შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ ითქვა. ამ საკითხზე ყურადღება გამახვილებულია „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც“. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მოტანილი ნაწყვეტის მიხედვითაც არაა ძნელი შევამჩნიოთ, ს.ერემიანს ჯავახეთი, სრულიად უსაფუძვლოდ, ისტორიულად სომხურ მხარედ რომ მიუჩნევია.

სამწუხაროდ, სომეხთა გარკვეულ წრეებში შეიმჩნევა არაჯანსაღი ტენდენცია იმისა, რომ ყველა დიდი ქართველი წარმომავლობით სომხებად გამოაცხადონ. ასე მაგ. 1937 წელს რუსულად გამოცემულ ვინმე დანდუროვის წიგნში ნათქვამია, რომ სომეხი იყო თვით შოთა რუსთაველი. ეს წიგნი რუსთაველის საიუბილეო წელს დაისტამბა. გამონაკლისს ხომ ვერც ივ.ჯავახიშვილის წინაპრების მიმართ დაუშვებდნენ და, აი, ისინიც გამოაცხადეს სომხურ მოდგმისად.

ქართულს რომ თავი დავანებოთ, ძველ სომხურ მატიანეებში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მხარგრძელები წარმოშობით სომხები არ იყვნენ. ეს ხაზგასმა, ასევე სხვა მონაცემებიც იმაზე მეტყველებენ, რომ მხარგრძელები მხოლოდ XI ს-ში დამკვიდრდნენ სომხურ გარემოში. ამ გარემოსაც სომხური მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს, რადგან მხარგრძელთა სამკვიდრებელს XII საუკუნისათვის ლორე-ტაშირი წარმოადგენდა. ამ ძირძველ ქართულ მიწა-წყალს, გარკვეული პოლიტიკური მიზეზების გამო, IX ს-ის ბოლოს სომეხი ბაგრატუნები დაეუფლნენ და მოგვიანებით აქ მომცრო სომხური სამეფოც შეიქმნა. მაგრამ სომეხთა ორსაუკუნოვანმა ბატონობამ ამ მხარეში ქართულის კვალი, ქართული გავლენა ვერ წაშალა და, ამდენად, მხარგრძელთათვის ქართული სამყარო უცხო არ იქნებოდა XI ს-სა თუ XII ს-ის დასაწყისშიც. იმის გამო, რომ მხარგრძელები XII ს-ის მეორე ნახევრისთვის მონოფიზიტები (გვიანდელი ტერმინით – გრიგორიანები) იყვნენ, შეიძლება ვილაპარაკოთ მათ გასომხებაზე, მაგრამ ამ საგვარეულოს გასომხების პროცესი დასრულებული არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, მხარგრძელები ძალიან სწრაფად გაქართველდნენ იგივე XII ს-ის მეორე ნახევარში. ასე რომ, თმოგველი მხარგრძელები სომხები კი არ იყვნენ (როგორც ს.ერემიანი არწმუნებს თავის მკითხველს), არამედ ქართველები. რუსთაველის ხანაში ხომ ცნობილი ქართველი მწერალიც გვყავდა – სარგის თმოგველი.

გიორგი ბრწყინვალის 1338 წ. წყალობის სიგელში ნათქვამია: „დაგუაჯერა ღმერთმან და... (ამ ადგილას ტექსტი ნაკლულია – ა.ა.) ვიხებეთ თორელისა ჯავახიშვილისა ივანესი და კოჯრისა ძირისა მონასტერი ათუხაგუქ-



ნი სამკვიდროდ (მიუბოძეთ) და შეუცვალებლად“. მაშასადამე, ჯავახიშვილები თორელთა საგვარეულოს განშტოებაა და არა თმოგველთა. თორელთა გვარი კი წარმოშობით მესხები იყვნენ და არა მხარგრძელები (იხ. ნ.შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებული: შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966; იხ. აგრეთვე „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“).

ქრისტეს შობამდე მეორე ს-ის დასაწყისში გაძლიერებულმა სომეხთა მეფეებმა ისარგებლეს ქართულ მხარეებს შორის არსებული დაპირისპირებით და არაერთი ქართული ოლქი მიიტაცეს. საფიქრებელია, ამ მხრივ კიდევ უფრო მეტ წარმატებას მიაღწიეს სომხებმა ტიგრან დიდის მეფობის ჟამს, როდესაც სომხეთის სახელმწიფო მცირე ხნით, დაახლოებით 20 წლიწადს ძალზე ძლიერი იყო. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველო იმ საუკუნეებში სომხეთის ნაწილს წარმოადგენდა. იბერიის დამოუკიდებელი და საკმაოდ ძლიერი სამეფო არსებობდა იგივე ტიგრან დიდის ხელმწიფობის წლებშიც. იბერიელთა ჯარმა მეფე არტაგის მეთაურობით არანაკლები წინააღმდეგობა გაუწია დამპყრობელ რომაელებს, ვიდრე ტიგრან დიდის სომხეთმა. ქრისტეს შობამდე IV–III და ქრისტეს შობიდან I–II სს-ში კი იბერია სომხეთზე გაცილებით უფრო ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა. შემდგომშიც, XI ს-მდე (როცა სომხეთში დაეცა სომხური სახელმწიფოებრიობა და 1918 წლამდე, დაშნაკების ხელისუფლების დამყარებამდე, მსგავსი რამ აღარ არსებობდა), ქართული სახელმწიფო თუ სახელმწიფოები სომხურს სიძლიერით არ ჩამოუვარდებოდნენ, პირიქით, აღემატებოდნენ კიდეც, გასათვალისწინებელია, კერძოდ, საქართველოს ძლიერება ვახტანგ გორგასლისა და ბაგრატ III-ის მეფობის ჟამს. ამგვარი ძლიერებისათვის სომხეთს ტიგრან დიდის შემდეგ აღარ მიუღწევია. მიუხედავად ამისა, ძველ სომეხ მემატიანეთა თხზულებებს წითელ ზოლად გასდევს თვალსაზრისი, თითქოს, აღმოსავლეთი და სომხეთ დასავლეთი – საქართველო, სომხეთის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. მას შემდეგ კი, რაც სომხეთში დაეცა სომხური სახელმწიფოებრიობა, თითქოს, საქართველოს სახელმწიფოში მცხოვრები სომხები უფრო დიდ როლს ასრულებდნენ საქართველოს ისტორიაში, ვიდრე ქართველები. ამგვარი უსაფუძვლო შეხედულებები გავრცელებულია თანამედროვე არმენოლოგიურ ლიტერატურაშიც. ქართული კულტურაც სომხურის ნაწილად ცხადდება.

სომხეთს სამი მხრიდან ავიწროებდნენ მეზობელი იმპერიები და სომხეთის მეფეები დანაკარგის ანაზღაურებას საქართველოსა და კავკასიის ალბანეთის ხარჯზე ცდილობდნენ. მათ მოახერხეს კიდეც ალბანელთა მნიშვნელოვანი ნაწილის გასომხება. საქმე იქამდე მივიდა, რომ ალბანთა საკათოლიკოსო, რომელიც XIX ს-მდე არსებობდა, სინამდვილეში სომხურ საკათოლიკოსოს წარმოადგენდა. იგივეს უპირებდნენ ქართულ ეკლესიასაც. ერთხელ ე.თაყაიშვილს უთქვამს: „კირიონი რომ არა (იგულისხმება VI–VII სს-თა მიჯნაზე მოღვაწე ქართველთა კათოლიკოსი – ა.ა.), ჩვენ ნამდვილად გავსომხდებოდით. დიდი საქმე ქნა ეროვნული თვალსაზრისით, ნამეტანი გონიერი, მაგარი და გამჭრიახი კაცი ყოფილა, როგორც გავს! ჩვენ მას ძეგლი უნდა დავუდგათ“ (იხ. გ.ლომთათიძე, ქართული კულტურის მემატიანე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1990, გვ. 102). სომხეთის ხელისუფალნი საქართველოში თავიანთი გავლენის გავრცელებას ხშირად დამპყრობლებთან მორიგებით ცდილობდნენ. ყოველივე ეს ტენდენციურად აისახა ძველ სომხურ მატიანეებში. რაც შეეხება XI ს-ის და შემდგომდროინდელ ვითარებას, საქართველო იბრძოდა იმისათვის, რომ დამპყრობლებს სომხეთში ფეხი მტკიცედ არ მოეკიდებინათ; ამ მიზნით საჭირო იყო სომეხთა მხარდაჭერის მოპოვებაც. ეს კი ზოგჯერ სომეხთა დაწინაურებასაც იწვევდა საქართველოში, მაგრამ ხომ არ შეიძლება ბუსი სპილოდ ვაქციოთ.

საქართველოს სომხეთის შემადგენელ ნაწილად მიჩნევის ტენდენცია იმდენად ძლიერია თანამედროვე არმენოლოგიურ ლიტერატურაში, რომ ივანე ჯავახიშვილის წინაპრებიც სომხებად გამოაცხადეს!

ალექსანდრე აბდალაძე

# კანონიერება ჩვენში ვიღაცის ხუშტურზეა დამოკიდებული

– ამბობს პატიმრობიდან განთავისუფლებული პროფესორი ირაკლი ხურგულაძე.

გთავაზობთ მასთან ინტერვიუს ცხელ კვალზე...

– როგორია თქვენი შეფასება საერთოდ გამოძიებისა და სასამართლოს პროცესისადმი?

– ჩემი საქმე სასამართლოს ფორმალურად ზუსტად 9 თვის თავზე გადაეცა. ამ ხნის მანძილზე გამომძიებელმა 4-5-ჯერ დამკითხა. ეს გახლდათ ჩვენებები დაპატიმრებიდან 2-3 დღეს და დამატებითი კითხვებით კიდევ ერთხელ დამკითხე. თავიდან ჩემი გამომძიებელი დ.ჯინჯოლავა იყო, იგი მაისში შეიცვალა და საქმე დ.ბოჭორიშვილმა წაიყვანა, რომელიც ერთხელ ვნახე. შეიძლება ითქვას, რომ ჩემს მიმართ არავითარი გამოძიება არ ჩატარებულა. არავითარი დაპირისპირება არ ყოფილა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ გამოძიებას ჩემთან საძებნელი არაფერი ჰქონდა. ეს იმითაც დასტურდება, რომ განაჩენში ჩემი ბრალეულობა გამოყოფილი არ არის, რაც დამნაშავედ ცნობისთვის აუცილებელი პირობაა. ამიტომ ვერ გავიგე, თუ რატომ მცნო სასამართლომ დამნაშავედ. შექმნილი ვითარებიდან უნდა ჩავთვალოთ, რომ ლმობიერად მომექცნენ. ჩემს მიმართ ნივთმტკიცებაც კი არ ყოფილა. ვერც თავად შეიარაღებული ფორმირების დამტკიცება შეძლეს, არ არის განსაზღვრული თავად შეიარაღებული ფორმირების ცნება, მისი ჩამოყალიბება კი აუცილებელი იყო, თითოეული მონაწილის წვლილის განსასაზღვრავად. მე ვერ ვიტყვი, რომ აქციის მონაწილეთაგან ვინმეს ჩვენი მოთხოვნა არ დაარღვია და იარაღი არ წამოიღო, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ ფრონტი არის პასუხისმგებელი ნივთმტკიცებად წარმოდგენილ იარაღზე, ვინაიდან იგი პერსონიფიცირებული არ ყოფილა და არც სათანადო აქტი შედგარა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ დაშვებულ იქნა ელემენტარული პროცესუალური დარღვევები.



არ მოიყვანეს ის მოწმეები, რომლებმაც ორი ავტობუსი ხაშურთან დაცხრილეს და 6 კაცი დაჭრეს. ამას გარდა, „ალფას“ წევრებმა ცემეს და გაძარცვეს. სტუდენტი შეურაცხყოფა მიაყენეს ავტობუსებიდან ჩამოყვანილ ხალხს. საქმიდან ამ 11 კაცის ვინაობა ცნობილია. უშიშროების სამინისტრომ კი სასამართლოს მოთხოვნაზე უპასუხა, ასეთი ხალხი ჩვენს არც ძველ და არც ახალ კარტოთეკაში არ ირიცხებაო. თუ ეს ადამიანები ოფიციალურ სტრუქტურაში არ ირიცხებიან, მაშინ ჩვენ უკანონო შეიარაღებული ფორმირება დაგვედევნებია და იმათ უნდა აგებინონ პასუხიც. სასამართლოზე დაისვა საკითხი – რამდენად კანონიერი იყო სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებები, ჰქონდა თუ არა მას „ალფას“, „ომეგას“, „მხედრიონის“, შსს-ს და თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის შექმნის უფლება. ესეც უკანონო შეიარაღებული ფორმირებაა, ვინაიდან დასტური პარლამენტს უნდა მიეცა.

ამ საკითხს დარბაზში მოსამართლეპროკურორისა და ადვოკატის რეაქცია გამოიწვია, ვინაიდან სახელმწიფოს მეთაურის კანონისადმი დაქვემდებარება ვერ წარმოუდგენიათ. სასამართლომ უარი განაცხადა პრეზიდენტის, ჯ.ბაბილაშვილის, ჯ.თოსელიანის და სხვების მოწმედ გამოძახებაზე.

ამას გარდა, გასული წლის ოქტომბერში უსანქციოდ ე.ი. უკანონოდ ვიყავით პატიმრობაში, ვინაიდან ვადების გაგრძელება პროკურატურის თვითნებობისა და ციხის ადმინისტრაციის ბრმა მორჩილების გამო მოხდა.

– თქვენ თქვით, რომ თქვენს მიმართ განაჩენი ლმობიერი აღმოჩნდა. ამაში რას გულისხმობდით?

– ამაში შემდეგს ვგულისხმობ: კანონი არის სისტემა, ხოლო უკანონობა კი უსისტემობაა. ამიტომ პროგნოზირებადი შეიძლება მხოლოდ კანონი იყოს, კანონიერება კი ჩვენში ყოველთვის ვიღაცის ხუშტურზეა დამოკიდებული. როგორც ჩაიდინე ისეთი დანაშაული, რომელიც შეიძლება დაისაჯოს სწორედ ჩემი ციხეში ჯდომის ხანგრძლივობით, გამოდის, რომ სასამართლო მაისში რომ დამთავრებულიყო, მაშინ სასჯელის ხანგრძლივობაც გაიზრდებოდა. მათ გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ არ ვიყავი ნასამართლევი. საზოგადოებრივი აზრიც ჩემს სასარგებლოდ იხრებოდა, ალბათ პროკურორმა მოტივმაც თავისი სიტყვა თქვა, რამაც სასამართლოს ასეთი განწყობა განაპირობა. კანონიერად კი სასამართლო ვერ მოიქცეოდა და ვერ გამამართლებდა, ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ უკანონობის მინიმუმი ჩაიდინეს. აქედან გამომდინარე, ვთვლი ლმობიერ სასჯელს და მადლიერიც ვარ, თორემ თავისთავად მომხდარს კანონთან არავითარი საერთო არა აქვს.

– რატომ გაგანთავისუფლეს ორი დღით ადრე?

– ალბათ, ეს განაპირობა ჩემი ციხიდან გამოსვლის მოსალოდნელმა აჟიოტაჟმა. ნათესავების გარდა, საზოგადოებისა და პარტიების, პრესის წარმომადგენლები მოვიდოდნენ, რაც ხელისუფლებისათვის სასიამოვნო არ იქნებოდა. ამას დაერთო პირადად ჯ.ბაწაშვილის, ნ.ქობულიასა და გვარამიაშვილის კარგი დამოკიდებულება ჩემდამი.

ამდენად, ჩემი გამოსვლა ორივე მხარისთვის ხელსაყრელი აღმოჩნდა.

– როგორ შეხვდით განაჩენს ციხეში გამოცხადებას?

– მთელი პატიმრობის მანძილზე ამაზე მძიმე მომენტი არ მქონია. ერთდროულად იყო მწუხარებაა მათი განაჩენის, ხოლო მრცხვენოდა ჩემი ლმობიერი განაჩენის გამო, ვინაიდან ისინი ასეთ სასჯელს არ იმსახურებდნენ.

– რას აპირებთ შემდგომში?

– არავითარი კონკრეტული გეგმა არ გამაჩნია. დრო მიჩვენებს, თუ რა უნდა გავაკეთო. ახლა ჩემთვის მრწამსისა და პოზიციის ცვლილება დაუშვებელია. ვეცდები ყოველთვის უსამართლოდ დაჩაგრულის მხარეზე ვიყო. ამას რამდენად შევძლებ, არ ვიცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუმორის გვერდი — წუთიშესვენება

# იუმორისტული ნოველები

## მერაბ ბერაძე

არც რა მიშველა ცირილმა,
არცა ცრემლთმის დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა



### რეჟისორ თენგიზ აბულაძეს ჩემზე კარგი წარმოდგენა ჰქონდა

ამი გითხარით, ცოტა ხანი კინოსტუდიაში ვმუშაობდიმეთქი და იქ უამრავ საინტერესო ადამიანს დავუახლოვდი. ამ პერიოდში ვინც კი სტუდიაში იყო ნამყოფი, კარგად იცოდა ეგრეთწოდებული „პიატაჩოკი" ანუ თავშეყრის ადგილი, სადაც მუდამ ირეოდა ხალხი. ერთ დღესაც იქ ვართ. ანეგდოტებს ვყვებით. ვხარხარებთ. მოკლედ, როგორც ჩვენმა მაშინდელმა უფროსებმა იცოდნენ თქმა: ვმაიმუნობთ. უცებ, მხარზე ხელის დადება ვიგრძენი. მოვტრიალდი. ვხედავ, ჩემი საყვარელი რეჟისორი ბატონი თენგიზ აბულაძე დგას და საოცარი კეთილი, თბილი თვალებით მიყურებს:

– გამარჯობა, ჩემო მერაბ!

– გაგიმარჯოთ, ბატონო თენგიზ, როგორ ბრძანდებით!

– ვერ ვარ მთლად ისე, ნორმალური კაცი რომ უნდა იყოს...

– რა იყო? – შევწუხდი მე...

– მერაბ, ძალიან მერიდება მაგრამ...

– ბრძანეთ, ბატონო თენგიზ, თუ რამე შემიძლია...

– თუ გაქვს საშუალება, ერთი თვით 5 ათასი მასესხე... პრემია მაქვს ასაღები და...

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა. გადავეხვიე და ვაკოცე...

– რატომ მკოცნი? – გაუკვირდა სახელგანთქმულ რეჟისორს!

– აი, ასეთი კარგი წარმოდგენის რომ ხართ ჩემზე...

### „შენც კაი დედაგაგლეჯილი ხარ"...

უკვე ხანშიშესულ ბატონ მიშა ჭიაურელს, ბუნებრივია, ცოტა სკლეროზი მოეძალა, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხდა და ერთი მეტად მტკივნეული პრობლემა საკმაოდ ადვილად გადაჭრა ამ უნიჭიერესმა კაცმა. ადამიანის გახსენების რამდენიმე მეთოდი დაამუშავა, რომელთაგან თითქმის უცვლელად ცხრიანში არტყამდა და ბატონი მიშაც კმაყოფილი იყო. მაგალითად, შეხვდებოდა ვინმე, ძველი ნაცნობი, გაუჭირდებოდა იმის გახსენება, თუ საიდან იცნობდა ამ კაცს და რამდენიმე, ასე ვთქვათ, გზაზე გასაყვან შეკითხვას მისცემდა. დავუშვათ: ახლა შენ სად ცხოვრობ? თქვენები აქ არიან თუ?.. ამას წინათ მე და ვერიკო (ანჯაფარიძე) ვიხსენებდით თქვენს ამბავს და ა.შ. ახლა თუ მთლად ხეპრე არ იყო ის კაცი, შესანიშნავად ხვდებოდა დიდი მიშა ჭიაურელის ოინს, თვითონაც აქტიურად ჩაებმებოდა თამაშში და თავს გაახსენებდა. მიზანი მიღწეული იყო და ცოტა ხანში ბატონმა მიშამ იმ კაცის სახელიც იცოდა, გვარიც და თუ სჭიროდა, ოჯახის შემადგენლობაც... ერთ დღეს ფუნთუშაზე ვარ, ლაღიძე დავლიე და მეტად კმაყოფილი გამოვედი გარეთ... ვხედავ, ძია მიშა მოდის, დამინახა, ხელები გაშალა და გულში ჩამიკრა...

– სად ხარ, ბიჭო, ასე უნდა დაკარგვა?

– რა ვიცი აბა, ძია მიშა, ძალიან დაკავებული ვარ... ცალკე სამსახური, ცალკე ოჯახი...

– ჰო, მართლა, ახლა სად მუშაობ? – მკითხა და თვალები ეშმაკურად მიჭუტა.

– ისევ იქ – ასევე ეშმაკურად მივუჭუტე მეც თვალები და გავიცინე!

– შენც კარგი დედაგაგლეჯილი ხარ! – ხაიჭნია ხელი და ბურტყუნით განაგრძო გზა...

### შიშველი ვენერა

ჩემი სკოლაში სწავლის პერიოდი დიდ სამამულო ომს დაემთხვა. დიდი გაჭირვება იყო მაშინ და კინოთეატრისთვის ვის ეცალა, მაგრამ დროდადრო, მუზეუმებში მაინც დაგვყავდით მასწავლებლებს. ერთ მშვენიერ დღეს, ხელოვნების მუზეუმში აღმოვჩნდით მთელი კლასი. ექსკურსიამ კარგად ჩაიარა და მეორე დღეს, ჩვენმა გერმანულის მასწავლებელმა, ქალბატონმა ნუნუ ხერუმოვა-გაჩეჩილაძემ, მოსწავლეებს შთაბეჭდილების გაზიარება გვთხოვა!

– აბა, სოსო, რა მოგეწონა იქ?

– პიკასოს ნახატი! – წამოდგა ფეხზე ჩემი ძმაკაცი.

– რომელი?

– რომელი არ მახსოვს, მაგრამ კარგი რომ იყო, ვიცი... ახლაც თვალწინ მიდგას...

– ჯობია, დასახელება იცოდე – დაარიგა ჭკუა მასწავლებელმა.

– შენ, ოთარ?

– მე ძველი ქართული ხატები!

– კარგია! შენ ჩემო გენო?

– მე შიშველი ვენერა! – გულწრფელად წამოსცდა გენოს...

– ახლა დატოვე კლასი და ხვალ მამაშენი მოიყვანე – გაბრაზდა მასწავლებელი...

მეორე დღეს გენო მარტო გამოცხადდა სკოლაში.

– სად არის მამაშენი? – ჰკითხა პედაგოგმა...

– მამაჩემი მუზეუმში გაიქცა შიშველი ვენერას სანახავად!



### „ინგუში" და ჩეჩენი

ჩემი უახლოესი ძმაკაცი და ნათლული, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგე, ინგუშა მშვენიერაძე, თავისი სტუდენტობის დროს, ერთმა აფხაზმა მეგობარმა კოტე სალიამ, რომელიც ახლა რესპუბლიკის ტურიზმს განაგებს, ოჩამჩირეში ქორწილში დაპატიჟა. იქ ყველაფერი კარგად ჩატარდა, სუფრა დილამდე არ აიშალა. ნამგზავრს და ღამენათევ მშვენიერაძეს უფიქრია, წავალ ცოტა ხნით ზღვის პირას, ქვიშაზე წამოვწვები და თვალს მოვატყუებო... ზაფხული იყო, მაგრამ სანაპიროზე იმ დილაუთენია ჯერ არავინ ყოფილა. ინგუშა წამოწვა თბილ ქვიშაზე და მალე ჩაეძინა... იმ ადგილებს, თურმე ყოველ დილით მესაზღვრეები ამოწმებდნენ და მძინარე მშვენიერაძეს თავზე ვიღაც ახმახი ჯარისკაცი დაადგა. მან ფეხი წაჰკრა სტუმარს და გააღვიძა:



– ტი კტო? – ჰკითხა მკაცრად ავტომატმომარჯვებულმა სალდათმა.

– ია, ინგუშ! – იყო პასუხი.

– პრავდა, ა ია, ჩეჩენ! – გაუხარდა ჯარისკაცს.

### „ვაი, შენს პატრონს!"

ქალბატონი ნუნუ ხავთასი მეტად კოლორიტული პიროვნება გახლდათ. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თავისივე ჩამოყალიბებულ ჟურნალს ქალებისათვის და ძალიანაც პოპულარული იყო... თვითონ, საოცარ მომხიბვლელ და სათნო ქალბატონს, რომელიც, სხვათაშორის, ოსტატურად უკრავდა გიტარაზე და მღეროდა, უამრავი ნაცნობ-მეგობარი ჰყავდა და ამით ხარობდა. მე, მაშინ სრულიად ახალგაზრდა, დამწყები ჟურნალისტი როცა ტელევიზიაში მივედი, ქალბატონი ნუნუ, ჰა-ჰა და პენსიაზე გასასვლელად ემზადებოდა... რატომღაც გულთან ახლოს მიმიღო, შეიძლება იმიტომ, რომ საერთოდ იუმორი ძალიან უყვარდა. მეც ამის გამო, რაიმე ახალს გავიგებდი თუ არა, პირველ რიგში მასთან გავრბოდი. ერთ დღეს რაღაც საქმეზე მოვრბივარ ტელევიზიის დერეფანში, მახსოვს, ზაფხულია და უნორმოდ ცხელა. ქალბატონ ნუნუს ოთახის კარი ღია აქვს, თვითონ მაგიდასთან ზის და ცოტა არ იყოს ზომაზე მეტად აქვს კაბა წამოწეული ისე, რომ ადამიანი უხერხულ მდგომარეობაში უნდა ჩავარდეს. დეკოლტეც მეტისმეტად ჰქონდა ამოჭრილი.

– მერაბ, სად მირბიხარ, არ გრცხვენია?..

– ძალიან მეჩქარება – მოვუბოდიშე მე... – საქმე მაქვს!

– შენი საქმეები არ ვიცი მე... შემოდი ოთახში და კარგად ჩაკეტე კარი – თითქმის მიბრძანა მან.

– მერე, აქედან რომ გავალ, რა ვთქვა?

– ვაი, შენს პატრონს! – გადაიკისკისა ქალბატონმა ნუნუ ხავთასმა.



### „ჩამშვები"

საქართველოს ბიოქიმიის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს ოთარ კვესიტაძეს, თავისი დარგის აღიარებულ სპეციალისტს, რომელიც ამერიკაში წლის მამაკაცად დაასახელეს, ერთი საუცხოო მეგობარი ჰყავდა. თავისი კოლეგა და თანამშრომელი, შესანიშნავი მოქალაქე და მეცნიერი ბახვა ხიდურელი, ინსტიტუტის სწავლული მდივანი, რომელსაც მეც კარგად ვიცნობდი... სამწუხაროდ, ეს გამორჩეული პიროვნება, ამ ცოტა ხნის წინათ მივაბარეთ მიწას... თავის მხრივ ბატონი ბახვა, ინსტიტუტის ერთ-ერთ თვალსაჩინო მეცნიერთან, ბატონ ამირან მესხთან მეგობრობდა. ერთ დღეს, ხიდურელმა ერთ-ერთ თანამშრომელს საყვედური გამოუცხადა. დაზარალებულმა სამაგიეროს გადახდა გადაწყვიტა, თან მეტად მუხანათური მეთოდით... იფიქრა, ისეთ რამეს ვეტყვი; ნერვებს ავუშლი და თან თავის საუცხოო ძმაკაცს, ამირან მესხსაც დავაკარგინებო! შევიდა კაბინეტში და უთხრა – კი, მე დამნაშავე ვიყავი და საყვედურიც სამართლიანად მივიღე, ოღონდ იცოდეთ, თქვენ ჩემზე ერთგულ კაცს ინსტიტუტში ვერ იპოვითო...

– რატომ მეუბნებით? – გაუკვირდა ხიდურელს.

– იმიტომ, რომ ის ადამიანები, რომლებიც თქვენ მეგობრობას გეფიცებიან, სინამდვილეში პატივს არ გცემენ და თუ გნებავთ, ამას ახლავე დაგიმტკიცებთო!..

ბატონი ბახვა, სერიოზული, გაწონასწორებული კაცი იყო და მიხვდა, რომ ის თანამშრომელი პროვოკაციას უწყობდა.

– წადი, გენაცვალე და საქმეს მიხედე! – დაარიგა ჭკუა ჩამშვებს.

– არა, ვერ წავალ, სანამ არ დაგიმტკიცებ! – არ მოეშვა სტუმარი – სულ ერთი წუთი მინდა. იცით თქვენ, რომ ბატონმა ამირან მესხმა, რომელიც თითქოს თქვენს გარეშე ნაბიჯს არ დგამს და სიყვარულს გეფიცებათ, ინსტიტუტში დიდი ბომბორა ძაღლი მოიყვანა და როგორ გგონიათ რა დაარქვა?

– არ მაინტერესებს! – ხელები გაშალა ბახვამ. – თუ შეიძლება გამიძელით, მე საქმე მაქვს!

– ძაღლს დაარქვა ბახვა... თქვენი სახელი – მთლად გასწირა ჩამშვებმა ამირან მესხი...

– მართლა? – გაუკვირდა ბახვას – ჰოდა, თუ ეგ აგრეა, მაშინ ნახოს მესხმა, მე რას ვუზამ! – გაბრაზდა ხიდურელი და თანამშრომელს ეზოში გამოჰყვა, რომელიც, ბუნებრივია, წინასწარ ზეიმობდა გამარჯვებას...

უნდა გითხრათ, რომ უკანასკნელ ხანს, ბატონმა ბახვამ მეტისმეტად მოიმატა წონაში და ამის გამო, სიარულიც უჭირდა. ისინი ნელა ჩავიდნენ ეზოში და „ერთგულმა" ხელი გაიშვირა ძაღლის სადგომისაკენ.

– აი, ნახეთ, მე ახლა ისე დავუძახებ, როგორც ჩვეულებრივად ეძახიან ხოლმე და თქვენ თვითონ ნახეთ, რომ მას არავითარი რეაქცია არ ექნება! – კაცმა ტუჩები მოპრუწა...

– მწუ, მწუ, მწუ! – მაგრამ ძაღლს ყურიც არ შეუქანებია – ახლა კი ნახეთ! ბახვა, ბახვა!

და მართლაც იმავე წუთში, სადგომიდან, კარგად ჩასუქებული, მუგუზალივით შავი ნაგაზი გამობნელდა.

– მდა! – თავი გააქნია ბატონმა ბახვამ – ეს ძალიან საინტერესოა!

– მართალი ყოფილხარ? – გაუხარდა ჩამშვებს – ამას რომ კაცი იკადრებს, იმას აქვს თუ არა უფლება, თქვენი მეგობარი იყოს?

ბახვა კი დაკვირვებით უყურებდა ძაღლს... შემდეგ პირთან ხელი მიიდო და ხმამაღლა დაუძახა:

– ბახვა!

ძაღლმა თავი დაღუნა და მორჩილად წამოვიდა მისკენ. ხიდურელი მიეფერა, ნიკაპზე ამოდო ხელი და თვალებში ჩახედა...

– რას ერჩი ამირანს, მგავს, ხომ იცი?...

„ჩამშვებს" თითქოს მდუღარე გადაასხესო, ნირი წაუხდა და ჩუმად გაეცალა იქაურობას, არავითარ ჭკუის დარიგებას არ ვაპირებ, მაგრამ ისე, სხვათაშორის, მინდა ვთქვა: სამწუხაროდ, ბევრია ჩვენს გარშემო ისეთი, ვისაც ძალიან უყვარს ენების მიტანმოტანა და მათი აყოლა კარგს არაფერს მოგვიტანს... ბახვას და ამირანს შორის კი ურთიერთობა ბოლომდე ისეთივე ნამუსიანი და კაცური იყო, როგორიც ამ ორ დიდ მეცნიერს ეკადრებოდა.

* * *

რეზო მეცხორიშვილი ადრე თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების ხელმძღვანელი იყო და ტელევიზიასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა. სწორედ აქ დავმეგობრდით და შეხვედრებისას მუდამ ბაბუას, ბესარიონს ახსენებდა ხოლმე... თვითონ შესანიშნავ თამადას, ბატონ რეზოს ხშირად მოუყოლია ხოლმე ბაბუამისის ამბები...

– პატარა რომ ვიყავი, მითხრა: შვილო, სულ ასე მომცრო კი არ იქნები, შენსკენაც გამოიხედავს ღმერთი, ტანს აიყრი, სკოლას დაამთავრებ, მერე შეიძლება ინსტიტუტშიც მოეწყო, დაოჯახდები, მერე იქნება სადმე ქეიფშიც დაგპატიჟონ და აი, მაშინ ფხიზლად უნდა იყო. თუ ვინიცობაა და ვინმემ თამადად დაგასახელა, ნურავითარ შემთხვევაში ნუ იტყვი უარს, იმიტომ, რომ სხვისი ბრუტუნის მოსმენას, ბევრად ჯობია, შენს ბრუტუნს უსმინოს ხალხმა.

### ბესარიონის ძაღლი

ბატონ ბესარიონს შეწუხებულმა მეზობელმა გადმოსძახა თურმე...

– ბესარიონ, რას მერჩი კაცო, დამღუპა შენმა ძაღლმა...

– რა იყო?

– რა იყო და წიწილა შემიჭამა...

– ჰო, ნუ დარდობ შენ, არა მგონია, რომ მოწამლოს!

### პროლეტარების დასაფლავება

ბატონი ოთარ ლითანიშვილი, იმხანად ქალაქ თბილისის მთავარი მხატვარი იყო... ერთ დღეს მთავრობაში „საშინელი" ცნობა მოვიდა. სუსლოვი გვეზარალაო... ვისაც ის პერიოდი ახსოვს, ისიც კარგად ეცოდინება, რომ სუსლოვისთანა „მეგობარი" ბევრი არ ჰყავდა საქართველოს. მაგრამ დელეგაცია, ტრადიციისამებრ, აუცილებლად უნდა წასულიყო დაკრძალვაზე. ეს კი ბუნებრივია, გვირგვინის გარეშე წარმოუდგენელი იყო... თანაც იგი გამორჩეულად ლამაზი და მდიდრული უნდა ყოფილიყო. მაგრამ ვიღაცის მითითებით, მარტო გვირგვინი არ იკმარებდა და ცოცხალი ყვავილებიც უნდა წაეღოთ. მოკლედ, ვინც საჭირო იყო, ყველა ჩართეს საქმეში და გამგზავრების წინა დღეს, საოცრად ლამაზი, უზარმაზარი გვირგვინი მზად იყო. რესპუბლიკის მაშინდელმა მთლად უფროსმა, თვითონ გადაწყვიტა გვირგვინის ნახვა. მას კი, ცხადია, დიდი ამალაც მოჰყვა. გვირგვინი შუა ოთახში ესვენა, ხოლო გარშემო უამრავი ცოცხალი ყვავილი ეწყო...

– ძალიან კარგი, ძალიან კარგი! – ვერ დამალა თავისი აღტაცება უფროსმა და მადლობის ნიშნად თბილად ჩამოართვა ხელი ამ საქმის ორ-



განიზატორს ბატონ ოთარ ლითანიშვილს – ჰო, მართლა, ეს ყვავილები ეყოფა?

– ეს ყვავილები, ბატონო ჩემო, სუსლოვს კი არა, მთელ პოლიტბიუროს დაასაფლავებს – მეტად სერიოზულად უპასუხა მხატვარმა...

დღეს ამის თქმა ადვილია, აი, მაშინ კი ადვილი შესაძლებელი იყო, ამ სიტყვებისთვის თუ ციხე არა, ადგილი მაინც დაეკარგა ადამიანს!

# განაჩენი

მეხუთე გვერდიდან

რა საქმის მდგომარეობაში, წასვლისას უთხრა მას, რომ არ წასულიყო მის დაბრუნებამდე. 12 საათისათვის კოლონა წავიდა, ის დარჩა შტაბში და ელოდებოდა აიოსელიანს. რამოდენიმე საათის შემდეგ დ.მიქაძე შეიარაღებული პირების თანხლებით მივიდა პასტერის [illegible]ჩაზე და აუწყა მას, რომ შენობა უნდა [illegible]ელუქათ. აქვე გაიგო, რომ აიოსელიანის ლოდინს არ ჰქონდა აზრი, ის არ მივიდოდა. ღამით კი შეიტყო აქციის მონაწილეთა დაკავებისა და დაპატიმრების შესახებ.

სასამართლომ თენგიზ კიტოვანის მიმართ სასჯელის განსაზღვრისას, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად გაითვალისწინა ის, რომ მას გადატანილი აქვს ინფარქტი, ხოლო დამამძიმებელ გარემოებად ის, რომ ადრე არის ნასამართლევი.

სასამართლომ ვალერი ფისუნის მიმართ სასჯელის განსაზღვრისას, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად გაითვალისწინა ის, რომ არის ავად, ხოლო პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ის, რომ ორჯერ არის ნასამართლევი და ძლეისათვის იძებნება დანაშაულის ჩადენისათვის.

სასამართლომ ირაკლი სურგულაძის მიმართ სასჯელის განსაზღვრისას პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად გაითვალისწინა ის, რომ პირველად არის სამართალში, ის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი და მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მას ორჯერ გადატანილი აქვს მიოკარდიის ინფარქტი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ქართველი ინტელიგენცია შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე მისი პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ, ხოლო პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი არ გააჩნია.

აღნიშნულის გამო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქ. რესპუბლიკის სსკ 303 -304 მუხლებით

დაადგინა:

თენგიზ კალისტრატეს-ძე კიტოვანი ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქ. რესპუბლიკის სსკ 239 მუხლის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილებით, 238[1] მუხლით და 135 მუხლით.

საქ. რესპუბლიკის სსკ 238 მუხლის პირველი ნაწილით შეეფარდოს 2 (ორი) წლით თ/აღკვეთა, ის განთავისუფლდეს სასჯელისაგან საქ. რესპუბლიკის 1995 წლის 2 ივნისის კანონის ამნისტიის შესახებ პირველი მუხლის საფუძველზე, სსკ 238 მუხლის მეორე ნაწილით მას შეეფარდოს 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა განთავისუფლდეს სასჯელისაგან საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 2 ივნისის კანონის, ამნისტიის შესახებ, პირველი მუხლის საფუძველზე.

სასჯელისაგან საქ. რესპუბლიკის 1995 წლის 2 ივნისის კანონის ამნისტიის საფუძველზე, თენგიზ კიტოვანი ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქ. რესპუბლიკის სსკ 238 მუხლის მესამე ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვროს 6 (ექვსი) წლით თ/აღკვეთა, ქონების კონფისკაციით. საქ. რესპუბლიკის სსკ 238 მუხლის მეოთხე ნაწილით შეეფარდოს 8 (რვა) წლით თ/აღკვეთა, ქონების კონფისკაციით, სსკ 438 მუხლით მიესაჯოს 8 (რვა) წლით თავისუფლების აღკვეთა. შესაბამისად საქ. რესპუბლიკის სსკ მე-40 მუხლისა, საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 8 (რვა) წლით თ/აღკვეთა, ქონების კონფისკაციით, სასჯელი მან მოიხადოს მკაცრი რეჟიმის კოლონიაში. სასჯელის მოხდა დაეწყოს 1995 წლის 13 იანვრიდან, დაკავების დღიდან.

ვალერი ვლადიმერის ძე ფისუნი ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქ. რესპუბლიკის სსკ 238[1] მუხლით და სასჯელის ზომად განესაზღვროს 6 (ექვსი) წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით. სასჯელის მოხდა მას დაეწყოს 1995 წლის 13 იანვრიდან.

ირაკლი კონსტანტინეს-ძე სურგულაძე ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქ. რესპუბლიკის სსკ 238 მუხლით და სასჯელის ზომად განესაზღვროს 1 (ერთი) წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით. სასჯელის მოხდა დაეწყოს 1995 წლის 13 იანვრიდან, დაკავების დღიდან.

განაჩენი კასაციურია 7 დღის განმავლობაში და შეიძლება გასაჩივრებული იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოში ამავე რაიონის სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე: ი.ხურციძე
მსაჯულები: სუხიშვილი
ისაგულოვა
ასლი დედანთან სწორეა
მოსამართლე: ი.ხურციძე
კანცელარიის გამგე ი.მეტრეველი

## შეიქმნება საქართველოს დეოკუპაციის კომიტეტი

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ინიციატივით იქმნება საქართველოს დეოკუპაციის კომიტეტი, რომელშიც შევლენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი პარტიის წევრი სხვადასხვა პარტიები. სედპ-ის თავმჯდომარის, ირაკლი წერეთლის განცხადებით, აღნიშნული კომიტეტის მიზანია, მოითხოვოს და გააკონტროლოს საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანა. ამავე დროს, დეოკუპაციის კომიტეტი გამორიცხავს რაიმე ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას რფ-ის ჯარების ან საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ და აპირებს იბრძოლოს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით.

იბერია

## რუსეთის პოლიტიკა დანაშაულებრივია კავკასიის მიმართ

რფ-ის სახელმწიფო სათათბიროს წევრმა, გენერალმა როხლინმა, რომელიც რამდენიმე დღის წინ იმყოფებოდა აზერბაიჯანში და შეხვდა აზერბაიჯანის პრეზიდენტს ჰეიდარ ალიევს, განაცხადა, რომ რუსეთის პოლიტიკა დანაშაულებრივია კავკასიის მიმართ. მისი თქმით, რუსეთი ხელს უწყობდა აზერბაიჯანში და საქართველოში სეპარატისტული ჯგუფების გააქტიურებას. ამარაგებდა მებრძოლ მხარეებს იარაღით. საბოლოო შედეგად კი მიიღო ის, რომ მან ამიერკავკასია ფაქტობრივად დაკარგა, ვინაიდან აზერბაიჯანი და საქართველო რუსეთს აღარ ენდობიან.

იბერია

მეუღლე დალი ღვინაძე, შვილები ნიკოლოზ, თეონა და მანანა ღვინაძეები, და ნადია პარასკევაშვილი, ძმისშვილები ცირა, მზია, ბონდო, მარინე, მამუკა, ნუნუ, ლალი, ნათესავები და მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

პეტრე ნიკოლოზის ძე ღვინაძე

პანაშვიდი: 15-16 ოქტომბერს 4 სთ-ზე
მისამართი: ქ.თბილისი, ქობულეთის ქ. №34ა
დაკრძალვა: ხუთშაბათს, 2 სთ-ზე, სოფ. კოდისწყარო (კასპის რაიონი)

გსურთ გახდეთ ყოველგვარი დიეტის გარეშე, დარეკეთ 78-91-55 ნანა კონსულტაცია უფასოა.



თარაზულად: 4. ანგარიშმიუცემელი ლტოლვა რაიმესაკენ; 8. „ახალგაზრდის“, „ჭაბუკის“ სინონიმი ძველ საქართველოში; 10. ძველი ქართული პროვინცია – საქართველოს სამეფო დინასტიის (ბაგრატიონების) სამშობლო; 11. საგნის გარეგნული მოყვანილობა; 12. ნორვეგიელი კომპოზიტორი, დირიჟორი, პიანისტი; 13. ერთ-ერთი ქვეყნის ხელმწიფე XVIII საუკუნეში, რომელიც თავის არისტოკრატიას ბეგარას უწესებდა ულვაშების ტარებისათვის; 14. მცენარე; 16. სპორტის ზამთრის სახეობათა ცენტრი რუმინეთში; 17. ინდოეთის პოლიტიკური მოღვაწე; 20. შემინული აივანი; 21. მდინარე გურიაში; 22. რუსი მომღერალი; 26. მიმართვა მამის ხნის კაცისადმი; 28. ზღაპრული შინაარსის იგავი; 29. მოწინააღმდეგის დარტყმისაგან თავის არიდება ფარიკაობაში; 30. ზოგიერთი მამათა მონასტრის სახელწოდება; 31. ცხენის ნაშიერი; 32. ჯიბის დანა; 34. პერსონაჟი რუსთაველელთა სპექტაკლისა „გუშინდელნი“; 35. ბარონეტის სახელისა და გვარის წინ წამძღვარებული ტიტული ინგლისში; 38. ძროხის ხორცის დაბეგვილი და შემწვარი ნაჭერი.

შვეულად: 1. ცნობილი ფეხბურთელის – ავთანდილ ღოღობერიძის მეტსახელი; 2. ძველ რუსეთში გავრცელებული გლეხური გრძელკალთებიანი ზედა ტანსაცმელი; 3. საკერავი მანქანის ნაწილი; 5. პოლონელი ასტრონომი (XVI ს.); 6. სატყორცნი იარაღი; 7. გარკვეული საწარმოო დავალების შემსრულებელი, კოლექტივის ხელმძღვანელი; 9. ირანის სულიერი ლიდერი; 15. საწვავი ნარევის მიღება შიგაწვის ძრავებში; 18. ფური ერთიდან ორ-სამ წლამდე – პირველი ხბოს მოგებამდე; 19. გაკვეთა სამკურნალო მიზნით; 23. ჩილელ კომუნისტთა ბელადი; 24. ველოსიპედისებური მანქანა; 25. მჭიდრო და მყარი; 27. უმაღლესი ადმინისტრაციული მოხელე ძველად მოსკოვის სახელმწიფოს ქალაქებში; 33. რაიმე ფარდობათა თავმოყრის წერტილი სხეულში (ფიზიკა); 36. ლითონის ჭურჭელი; 37. არასამუშაო დღე.

გიორგი გასიტაშვილი

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 9. რაფინადი; 10. კოლექცია; 11. ნური; 12. მორისი; 13. აძიკვი; 14. ანდერძი; 16. აგარები; 18. თვე; 19. ყდა; 22. დუსთუმი; 24. რაევსკი; 27. ერეკლე; 29. კვარცი; 30. ოლღა; 31. სამპრასი; 32. დემპინგი.

შვეულად: 1. ქრთამი; 2. აფშერონი; 3. შაირი; 4. ჭიანური; 5. სკვინჩა; 6. ულტრა; 7. აცტეკები; 8. ქარტია; 15. რევიუ; 17. ანდრე; 20. რუსთუმე; 21. სკორცენი; 23. იაპონია; 24. რიჩარდი; 25. ტერასა; 26. ფიქცია; 28. ერთად; 29; კუჩმა.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444